ზ უ რ ა ბ რ ა ტ ი ა ნ ი

წ ყ ა რ ო თ ა ღ ა ღ ა დ ი

საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური და
სოციალური ურთიერთობა მხითარ გოშის
სამართლის წიგნის მიხედვით

თბილისი
„მეცნიერება“
1989

საქართველოსა და სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია XII–XIV საუკუნეები. ამ ეპოქაში ორი მეზობელი ქვეყანა არსებითად ერთ სახელმწიფოდ-საქართველოს სამეფოდ გაერთიანდა. თუ როგორი იყო ამ გაერთიანების პოლიტიკური და სოციალური საფუძველი, ამის შესახებ ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს.

წინამდებარე ნარკვევში, აღნიშნულ საკითხზე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროს ანალიზის საფუძველზე, მიღებულია მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის დასადგენად აღნიშნულ ეპოქაში.

გამოცემა ხორციელდება ავტორის ხარჯით.

რეცენზენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი–დ. მუსხელიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
– დ. ბერძენიშვილი

0503020906
რ ----------რეზ.
M 607(06)–89

© ზ.რატიანი, 1989

ქართველი და სომეხი ერების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან ხანას XII საუკუნე წარმოადგენს, ვინაიდან იმ დროს საბოლოოდ გამოიკვეთა ორი ქვეყნის დამოკიდებულების ის სახე, რომელმაც საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა არსებითად მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრა. ამიტომ საგანგებო ბუნებრივია, რომ ამ ეპოქის ურთიერთობას განსაკუთრებული ყურადღებით იკვლევენ, როგორც ქართველი, ასევე სომეხი ისტორიკოსები, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად არაბუნებრივია, რომ ამ საკითხზე ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში დიამეტრალურად განსხვავებული ძირითადი დებულებები ჩამოყალიბდა[I]. ორიოდე სიტყვით ეს დებულებები შემდეგია: XII საუკუნეში სომხეთი, უფრო ზუსტად, მისი დიდი ნაწილი, ქართული სახელმწიფოს შემადგენელი მხარე გახდა. ესაა ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი. სომხური ისტორიოგრაფიის აზრით კი, მართალია, XII საუკუნეში სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ასე იყო მხოლოდ ფორმალურად, ვინაიდან სომხეთს ისეთი დიდი თვითმმართველობა გააჩნდა, რომ არსებითად იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო ზაქარია და ივანე მხარგრძელების სამეფო კარზე მოღვაწეობის დროს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ამ ე.წ. "ზახარიდებისა" თუ "ზახარიანების" ნება-სურვილის აღმასრულებელი გახდა, და, ამდენად, თვითონ საქართველო შეადგენდა სომხური სახელმწიფოს ნაწილს.

I С. Джанашиа, об одном примере искажения исторической правды, Тбилиси, 1947, с. 40 – 46;

გ.მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII–XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1982, გვ. 7–16.

ბუნებრივია ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისიდან ერთ-ერთი ძირშიცე მცდარი და მიუღებელია, მაგრამ ამჯერად ჩემს მიზანს არ შეადგენს ქართული და სომხური ისტორიოგრაფიის ამ დებულებათა კრიტიკული განხილვა და ამ გზით ჭეშმარიტების დადგენა. ეს დიდი ისტორიოგრაფიული თემაა და განსაკუთრებული კვლევის საგანია. ამჟამინდელი ჩემი მიზანი, როგორც ნაშრომის სათაურიდან ჩანს, გაცილებით მოკრძალებულია. აქვე უნდა აღვნიშნო, მიუხედავად იმისა, რომ მხითარ გოშის შემოქმედებასა და, კერძოდ, მის სამართალზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს, თუ არ ვცდები, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა საკუთრივ მხითარ გოშის სამართლის წიგნის მიხედვით საგანგებოდ ჯერ არავის შეუსწავლია.

მაშ, ასე, ჯერ მოკლედ თვითონ მხითარ გოშის შესახებ. იგი განსაში დაბადებულა XII საუკუნის I ნახევრის შუა ხანებში, მიუღია კარგი სასულიერო განათლება და დიდი ნიჭისა და შრომის წყალობით მიულწევია ვარდაპეტის (მოძღვრის) წოდებისათვის. უცოცხლია 1213 წლამდე და მთელი სიცოცხლე მშობელი ერის თავდადებული სამსახურისათვის შეუწირავს[2].

ვითარცა მოძღვარს, გოშს უმოღვაწია ჯერ გეტიკის მონასტერში, რომელიც მდინარე აღსტაფის ხეობაში მდებარეობდა, შემდეგ კი – ახალ გეტიკის მონასტერში. იმდენად დიდი სახელი მოუხვეჭია გოშს, რომ მასთან სასწავლებლად თვითონ ვარდაპეტებიც (მოძღვარნიც) კი მიდიოდნენ. ასე რომ, მხითარ გოში მოძღვართ-მოძღვარიც ყოფილა. კირაკოს განძაკელი, XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, რომელიც გოშის მოწაფის-ვანაკანის მოწაფე იყო, მხითარ გოშს სრულიად განსაკუთრებულად, გამორჩეულად აფასებს. მისი სიტყვებით, გოში იყო: „დიდი მოძღვარი", „სახელგანთქმული და დიდი ბრძენი", „სათნო მოძღვარი", „წმინდა მოძღვარი",

---

2 ღ.მელიქსეთბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი" და მათი ვინაობა", ტფილისი, 1928, გვ.214-254, ლიტერატურის დასახელება მხითარ გოშის შესახებ, იხ. იქვე.

„ნუგეშისმცემელი", „ხალხის თვალში გამორჩენილი". „ასეთი სახელისა გამო, - წერს კირაკოსი,- ყველა ნატრულობდა მის ნახვას. ბევრნი კი, რომელთაც უკვე მოძღვრის (ვარდაპეტის) წოდება ჰქონდათ მიღებული, მაღავდნენ ამას და უწაფებდნენ მას სხვებთან ერთად".[3]

ამრიგად, კირაკოს განძაკელის თანახმად, მხითარ გოში მთელი სომეხი ერის სულიერ მამად არის მიჩნეული და ეს სულაც არ არის გადაჭარბებულად ნათქვამი. არა მარტო მშობლიურ მხარეში, შორეულ კილიკიასა და თვით ათაბარის სამეფო კარზეც კი გოში ცნობილი და დაფასებული ბრძენკაცი ყოფილა. ბუნებრივია, რომ მას განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონია ზაქარია და ივანე მხარგრძელებთან, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს იგივე კირაკოს განძაკელი[4]. იგი წერს: „... შეუდგა სათნო მოძღვარი იგი (მხითარი) თავის თანამოძმეებთან ერთად მონასტრისა და ეკლესიის აშენებას... ტანწუტის ხეობაში... დიდი დახმარება გაუწიეს დიდმა მხედართმთავარმა ზაქარიამ და მისმა ძმამ ივანემ, რადგანაც უკანასკნელნი იმ მხარეთა მფლობელნი იყვნენ. მათ წმიდა მოძღვარი ძალიან უყვარდათ, აგრეთვე ზაქარია აღსარებით მისი სულიერი შვილი იყო..."(ხაზგასმა აქ და შემდგომში ყველგან ჩემია - ზ.ს.).

შემდეგ: „როდესაც ღრმა მოხუცებულობას მიაღწია [გოშმა]...მიუწერა ანდერძი ზაქარიას ძმისა, დიდი მხედართმთავრისა ივანესადმი, რომელსაც ჩააბარა მონასტერი და წინამძღვარი".

მხითარ გოშის უზარმაზარ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ანისში მოწვეული საეკლესიო კრება (დაახლ. 1207) მისი გამოუცხადებლობის გამო აშკარად ჩაიშლებოდა, რომ ბოლოსდაბოლოს, ზაქარია მხარგრძელის დიდი თხოვნის შემდეგ, იგი იქ არ ჩასულიყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი დიდი ტალანტისა და საარაკო ავტორიტეტის მქონე პიროვნება მხოლოდ სამოძღვრო მოღვაწეობით არ დაკმაყოფილებულა. მდიდარი სომხური მწერლობის საგანძურში მხითარ გოშს

---

3 იქვე, გვ.215-216.

4 იქვე, გვ.216-220.

თავისი ღირსეული წვლილი შეუტანია[5]. გარდა წმინდა სასულიერო ხასიათის თხზულებებისა, მას შეუქმნია იგავები (პირველს სომხურ მწერლობაში), ისტორიული ნარკვევები და, რაც მთავარია, სამართლის წიგნი.

ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მხითარ გოშის სამართლის წიგნის[6] მნიშვნელობა სომხური კულტურის ისტორიაში. არც მანამდე და არც მას შემდეგ ასეთი დიდი მნიშვნელობის სამართლის წიგნი შუა საუკუნეების სომხეთში არ შექმნილა. მისი შედგენა მხითარ გოშს 1184 წელს დაუწყია და, სიცოცხლის ბოლომდე, 1213 წლამდე გაუგრძელებია. ასე რომ, ცხადია, სომხური სამართლის ეს წიგნი XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლია და იგი XII-XIII საუკუნეების სომხეთის სოციალური და პოლიტიკური ვითარების ამსახველ ძირითად, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე წყაროს წარმოადგენს. ცნობათა სიუხვითა და, რაც მთავარია, მიუკერძოებლობით ამ ძეგლს ვერც ერთი სხვა სომხური წყარო ვერ შეედრება. აძის გაძო ბუნებრივია, რომ ჩვენი წყაროს მრავალი ცნობა უეჭველად ისტორიული ჭეშმარიტების გარკვევას ემსახურება.

მხითარ გოშის სამართლის წიგნი შედგება ცრცელი, თერთმეტთავიანი შესავლისაგან და ორი ძირითადი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს სირიულ-რომაული საეკლესიო სამართლის სომხურ ვერსიას 124 მუხლის მოცულობით, მეორე – საკუთრივ მხითარ გოშის მიერ შედგენილ საერო სამართლის წიგნს 130 მუხლის რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო სამართალი ანუ კანონები (საერო სამართლისაგან განსხვავებით კანონები საკუთრივ საეკლესიო სამართალს ეწოდება) სომხეთში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში (და, ცხადია, მათ შორის საქართველოშიც) ადრეც არსებობდა, რადგან ძველი და ახალი აღთქმის დებულებები და საეკლესიო კრებების დადგენილებები კანონებისა ე.ი. წერილობითი საეკლესიო სამართლის სახით ოფიცია-

---

5 იქვე, გვ.223-228.

6 ცსარგებლობ წყაროს ა.ა.პაპოვიანისეული რუსული თარგმანით, რომელიც 1954 წელს დაიბეჭდა ერევანში გ.მ.არუთინიანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით.

ლურად მოქმედებდა ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორც წესი, ყოველი ქვეყნის ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამის ერთერთი ნიმუშია სირიულ-რომაული სამართლის სომხური ვერსია. პროფ.ვ.სოკოლსკის აზრით, სირიულ-რომაული საეკლესიო სამართალი „ძველი დროიდანვე მოქმედებდა როგორც სომხეთში, ისე საქართველოში“[7]. თუ ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ ცხადია, რომ XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დამდეგისათვის ამ ძეგლის ძველი სომხური ვერსია იმდენად შეუსაბამო გამხდარა, რომ მხითარ გოშს მისი ახალი, თავისი ეპოქის შესაფერისი ვერსია შეუქმნია. მარტო ამის გამოც მხითარ გოშის დამსახურება დიდი იქნებოდა, მაგრამ მან შექმნა გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი ძეგლი-პირველი სომხური საერო სამართლის წიგნი[8], რომელიც უნიკალური მოვლენაა სომხეთის ისტორიაში. ჩვეულებრივ საერო სამართლის წიგნებს მეფეების ან მთავრების -ხელმწიფეების-სახელით ქმნიდნენ. ასე იყო ყველა ქვეყანაში. მაგრამ მხითარ გოში ხომ სასულიერო პირი იყო. ამიტომ მის მიერ საერო სამართლის წიგნის შედგენა სრულიად აშკარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მხითარ გოშის დროს სომხეთში არ არსებობდა არავითარი საკუთრივ სომხური საერო ხელისუფლება მეფის ან თუნდაც ხელმწიფე მთავრის სახით, რომელსაც უფლება ჰქონდა საერო სამართლის წიგნის შედგენისა. ცხადია, გოშმა ეს ძალიან კარგად იცოდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც სომხეთს სომხური საერო ხელისუფლება არ გააჩნდა, კერძო პირისაგან შედგენილი საერო სამართლის წიგნი სანქციონირებული არ იქნებოდა, ე.ი. იგი სავალდებულო ძალად სამართლად ვერ გადაიქცეოდა, იმის გამო, რომ არ არსებობდა არავითარი სომხური ხელისუფლება, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი იქნებოდა. ასეთ ვითარებაში რაღა აზრი ჰქონდა მხითარ გოშის მიერ საერო სამართლის წიგნის შედგენას? ამ კითხვის პასუხად მოგუსმინოთ თვითონ

---

7 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 594.

8 Армянский судебник Мхитара Гоша, Ереван, 1954, с. XXII–XXIII.

მხითარ გოშის საერო სამართლის წიგნის ცნობებს.

შესავალში გოში ღრმად ასაბუთებს სომხური წერილობითი სამართლის შექმნის აუცილებლობას და ამის ძირითად მიზეზად სომხური წერილობითი საერო სამართლის უქონლობას ასახელებს, ამასთან სრულიად გარკვევით აღნიშნავს, რომ არა მარტო მის დროს, არამედ საერთოდ არასოდეს არ არსებობდა სომხური წერილობითი საერო სამართალი[9]. მხითარ გოში იმის მიზეზებსაც განმარტავს, თუ რატომ არ შეუდგენიათ მანამდე წერილობითი საერო სამართალი სომხეთში. ასე შესავლის პირველ თავში, რომლის სათაურია: „თავი I, რომელიც შეიცავს იმათ პასუხს, ვინც ჩვენ ძვირს აძრობს იმის გამო, რომ ჩვენ სამართალი არა გვაქვს„[10], გოში განმარტავს, თუ რატომ არ დაუტოვა ქრისტე ღმერთმა წერილობითი სამართალი მის აღმსარებლებს. მთავარი გოშის განმარტებაში აქ ის არის, რომ ქრისტეს მცნება დვთიური და სრულყოფილია, ხოლო წერილობითი სამართალი არასრულყოფილია. ქრისტეს მცნებას ადამიანები სიყვარულითა და თანაგრძნობით აღასრულებენ ძარადქაძს, ხოლო წერილობით სამართალს - იძულებით და ძალდატანებით, ამასთან ქრისტეს მცნება მარადიულია, უცვლელია, ხოლო წერილობითი სამართალი ცვალებადია ერებისა და ქვეყნების შესაბამისად.

მიუხედავად აღნიშნულისა, მეორე თავის სათაური ასეთია: „რატომ გადაგვწყვიტეთ ჩვენ სამართლის წიგნის დაწერა ანუ ჩვენი აზრები რატომ განეწყო სააქისად"[11]. ეს თავი შემდეგი სიტყვებით იწყება: „თუცა ჩვენ ვთქვით, რომ არ ყოფილა იმის საჭიროება, რომ უფალს ჩვენთვის წერილობითი სამართალი მოეცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ ხშირად გვესმის აუგი არა ქრისტიანთაგან და ქრისტიანთაგან, რომ ქრისტეს სჯულში სრულებით არ არის სამართალი".

არა ქრისტიანთაგან, რომლებშიც აქ გოში მუსულმანებს გულისხმობს,

---

9 იქვე, გვ. I-30.

10 იქვე, გვ. I.

11 იქვე, გვ. 3.

ასეთი განცხადება ბუნებრივია, მაგრამ რატომ უნდა ეთქვათ იგივე ქრისტიანებს და ვინ იყვნენ ეს ქრისტიანები?

ცხადია, ნებისმიერი ქრისტიანისაგან ქრისტეს სჯულის უსამართლობაზე დაპარაკი სრულებით გაძრიცხულია. არა სომეხ ქრისტიანებს სომხებისათვის მხოლოდ ის შეეძლოთ ეთქვათ, რომ თქვენ,სომხებს წერილობითი საერო სამართალი არა გაქვთ. და რომ ეს მართლაც ასე ყოფილა, ამას ადასტურებს მხითარ გოშის სამართლის წიგნი მოლიანად. ამის მთქმელი ანუ მის გამო სომხების აუგად მოხსენიებელი ქრისტიანები კი, ცხადია, ბერძნები და ქართველები იყვნენ, და,პირველ რიგში, ქართველები, რადგან გოშის დროს უკვე დიდი ხანი იყო გასული, რაც სომხეთი საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა. საქართველოში კი საერო სამართალი ჯერ კიდევ X-XI საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა ბაგრატ III-ს მეფობაში, და,აძდენად,მხითარ გოშამდე ორასი წლით ადრე ქართველებს უკვე ჰქონდათ იგი. სომხეთის უმეტესი ნაწილის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ მხარედ გადაქცევის შემდეგ, ბუნებრივია, ქართული ხელისუფლება ამ მხარეშიც ქართული წერილობითი სამართლით, როგორც საერთო სახელმწიფო სამართლით, განსჯიდა, რასაც, ცხადია, ადვილად ვერ შეეგუებოდა სომხური მოსახლეობა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სომეხთა ყოველგვარი პროტესტი სომხეთში ქართული სამართლის დანერგვის გამო, ამაო იყო, ვინაიდან ხელისუფლება სომხეთს ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა. კიდევ მეტიც, სომხეთს მხითარ გოშამდე კიდეც რომ ჰქონოდა საერო წერილობითი სამართალი, ქართული ხელისუფლება მაშინაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული სამართლით განსჯიდა სომხურ მხარეებში, ვითარცა ერთიანი სახელმწიფოს ორგანულ ნაწილში. ასეთი იყო ვითარება საერო წერილობითი სამართლის გამო, ხოლო საეკლესიო სამართლის გამოყენების საკითხი სხვაგვარად იდგა. სომხეთს ძველთაგანვე ჰქონდა საეკლესიო სამართალი და მით უფრო, მაშინ, როცა მხითარ გოშმა სირიულ-რომაული სამართლის სომხუ-

რი ვერსია შექმნა, ცხადია, სომხეთში მოქმედებდა სომხური საეკლესიო სამართალი. და იმის გამო, რომ სომხური აღმსარებლობა, სომხური საეკლესიო სამართალი შეუვალი იყო ქართული საეკლესიო სამართლისათვის, ამ მხრივ იგი დაცული იყო ქართველთა ხელყოფისაგან.

შესაბამში გოში სულ თორმეტ მიზეზს ჩამოთვლის და იმ ძირითად აზრს ავითარებს, რომ უამთა ვითარების გამო სომხებისათვის ზეტი აღარ შეიძლება წერილობითი სამართლის გარეშე არსებობა და ამიტომ იძულებული შევიქენით ის შეგვედგინაო. იგი წუთით არ იცავებს სხვა რწმენის ხალხს და საგანგებოდ აღნიშნავს: "ამის გამო ჩვენ გადაეწყვიტეთ ხელი მიეცით [ჩვენებს] სამართლის წიგნი, ვითარცა სამახსოვრო, რათა იგი მუდამთამს ხელში ეჭიროთ, თვითონ ახსოვდეთ და უჩვენებდნენ სხვა რწმენის ხალხს, რომ ჩვენ მართლმსაჯულებას წერილობითი სამართლით აღვასრულებთ და დაე დადუმდეს სხვა რწმენის ხალხის ბაგენი, რათა აუგად ცელარ გვახსენონ ჩვენ".[12]

საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ ადრე არა პქონდათ სომხებს წერილობითი სამართალი, გოში კვლავ უბრუნდება და თითქოს შესავლის პირველ თავში საკუთარი ნათქვამი დაამეწყდაო, წერს: "მაგრამ მე მიკვირდა, როგორ მოხდა, რომ ასეთი დიდი საქმე (ე.ი. წერილობითი საერო სამართლის შედგენა) დარჩა მოციქულთა და წმიდა მამათა მხრივ ყურადღების გარეშე. და მე ვიფიქრე, რომ ეს მოხდა ან საამისოდ მათი მოუცლელობის ანდა დევნის შედეგად, ანდა იმიტომ, რომ მათთვის ეს არავის უთხოვია. თვითონ მათ კი არ იკისრეს ეს საქმე, რადგან მაძაგებლების ეშინოდათ, ანდა იმის გამო, რომ ისინი სხვა ხალხების ხელქვეით იმყოფებოდნენ (ე.ი. დაპყრობილნი იყვნენ უცხოელთა მიერ) და მათი (დამპყრობლების) სამართლით კმაყოფილდებოდნენ. ვინაიდან ყველა ეს მიზეზი არსებობდა ჩვენს დროშიც"[13].

---

12 იქვე, გვ.4.

13 იქვე, გვ.5.

ამრიგად, შესავლის პირველ თავში წარმოდგენილი ზოგადი მსჯელობის ნაცვლად, აქეთ, იმავე შესავლის მეორე თავში მხითარ გოში სრულიად გარკვევით მიუთითებს იმის მიზეზებს, თუ რატომ არ პქონიათ სომხებს წერილობითი საერო სამართალი. სომხური სახელმწიფოებრიობის მოშლა, სომხური ხელისუფლების არ არსებობა, სომხეთის უცხოელ დამპყრობელთა ხელში ყოფნა,—აი ის მიზეზები, რის გამოც სომხებს წერილობითი საერო სამართალი გოშამდე არ პქონიათ. მხითარ გოშამდე საუკუნენახევრით ადრე დაკარგეს დამოუკიდებლობა სომხურმა სახელმწიფოებმა და აშკარად ამიტომ წერს გოში, რომ კეთილის ბედუკუღმართობის გამო ვერ შეადგინეს საერო სამართალი სასულიერო პირებმა და ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მთელი იმ საუკუნენახევრის განმავლობაში სომხეთში საერო სომხური ხელისუფლება არ არსებობდა. მაგრამ ვინაიდან გოშმა იცის, რომ საერო სამართალი საერო ხელისუფლებამ უნდა შეადგინოს და ასეთი კი დიდი ხანია, რაც სომხეთში არ არსებობს, ამიტომ ახსენებს იგი სასულიერო მოღვაწეებს, რომლებმაც არ იკისრეს სამართლის შედგენა.

რადგან საკუთარი, სომხური წერილობითი საერო სამართალი არ არსებობდა, ამიტომ გოში ქრისტიანი ხალხების სამართლის წიგნებს ეყრდნობა თავისი საერო სამართლის წიგნის შედგენისას. იგი წერს: „... იმის შესახებ, თუ რომელი წერილებიდან ანუ რომელი ხალხებისაგან უპირებთ ჩვენ სამართლის წიგნების ანუ სასამართლო წესდებულებების გადმოღებას (სესხებას)... „... ჩვენ ვისესხლობთ ყველა ქრისტიანი ხალხისაგან, როგორც ლიძლი ძმებისაგან. რაც ჩვენ გავიგონეთ და დავინახეთ მათ ზნეკეთილ სასამართლოებში, იმას ვიწერთ ჩვენს სამართლის წიგნში“[14].

„... ჩვენ ვიმოწმებთ... ყველა ხალხის მშშმარიტ სამართალს, იმავე სახით, როგორც ჩვენ გავიგონეთ და დავინახეთ“...[15]

---

14 იქვე, გვ.27.
15 იქვე, გვ.29.

„...ბერძნებმა, ისევე, როგორც ქართველებმა... მხოლოდ სამი მოსამართლე დაწესეს... ჩვენც ასევე ვიწონებთ სამ რიცხვს, რადგან ბევრი მოსამართლის მოძებნა (ყველგან) ძნელია“[16].

დამოწმებული ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ მხითარ გოშს ქართული საერო სამართლის წიგნი (ბაგრატ III?) ერთ-ერთი ძირითად წყაროდ გამოუყენებია, რომ მას ქართული და ბერძნული წერა-კითხვაც სცოდნია და რომ მოსამართლეთა რიცხვი -სამი ქართული და ბერძნული სასამართლოების მიბაძვით დაუწესებია.

ჩვენი წყაროს ცნობები იმის ზუსტად გარკვევის საშუალებასაც იძლევა, თუ როგორი იყო სომხეთის დამოკიდებულება საქართველოზე, ანუ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურად რა ფორმით ფლობდა სომხეთს.

„ადამიანები, რომლებიც შეუდგებიან წინამდებარე ჩემი სამართლის მუხლების კითხვას (ე.ი.სამეფო ანუ საერო სამართლის მუხლების კითხვას) საცინლად აიგდებენ მათ (ამ მუხლებს), მე კი იმ ადამიანს შემადარებენ, რომელსაც ძილში ესიზმრება სამეფო (სახელმწიფო) და ბევრი სხვა სასიამოვნო რამ, მაგრამ გამოღვიძებული იგი ყველაფერი ამის (სამეფოთა და სხვათა) გარეშე აღმოჩნდება. მაგრამ დე იცოდნენ მათ, რომ ჩვენ არ ვიცვიწყებთ როგორი წარმავალი და ცვალებადია ყოველი ამქვეყნიური (მიწიერი) სამეფო, მით უფრო ჩვენი სამეფო, ყოფილ ხომ უკვე ჩვენს შორის აღარ არის, არც აწმყო (სამეფო) გვაქვს ჩვენ, ხოლო მომავალში მისი ხილვა ჩვენ არ გველირსება... შევინდონ მათ, ვისაც ოდესმე ელირსება ჩვენი სამეფოს ხილვა“...[17].

ძნელია ამაზე გარკვევით, ნათლად და მკაფიოდ გამოსახო სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში. გოშმა კარგად იცოდა რომ ასეთ უუფლებო მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის კერძო პირის მიერ სამართლის შედგენას არსები-

---

16 იქვე, გვ.II.

17 იქვე, გვ.149.

თი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყებოდა, მაგრამ სამშობლოს დიდი პატრიოტი იმედს არ კარგავს, რომ ოდესმე აღდგება სომხური სამეფო და მაშინ გოშის სამართლის წიგნიც სრულუფლებიანი გახდება. აი ეს არის ამ სამართლის წიგნის შედგენის ძირითადი მიზანი.

იმ აზრს, რომ გოშის დროს სომხეთს სომეხი მეფე-ხელმწიფე არ გააჩნდა, გოში რამდენჯერმე იმეორებს. ასე მაგალითად, საეკლესიო სამართლის პირველ მუხლში იგი წერს: „ამჟამად ჩვენ არც მეფე გვყავს, არც მთავარი (ხელმწიფე)“[18], რომელთაც უფლება ექნებოდათ მოსამართლეთა დადგენისო.

ანდა: „წამოვიწყეთ ჩვენ ეს საქმე (სამართლის წიგნის შედგენა) სომხური წელთაღრიცხვის 633 წელს... იმ წლებში, როდესაც უკვე დიდი ხანი იყო გასული, რაც ჩვენ აღარა გვქონდა ჩვენი სამეფო. როცა მხოლოდ ხაჩენის ქვეყანაშიღა იყო თითო-ოროლა თავადი შემორჩენილი. ჰასანისა, რომელიც ბერად აღკვეცა და მისი ვაჟის, ვახტანგის ცხის ფლობის დროს, აიტერკად რომ იწოდება; დიდი თავადის რუბენის დროებაში, რომელიც კილიკიის სხვა თავადებისა და მიწების მეთაური იყო; საქართველოს მეფის, ძლევამოსილი გიორგის (გიორგი III, 1156-1184) გარდაცვალების წელიწადს, დიდი სომხეთის კათოლიკოსის გრიგოლის პატრიარქობის ჟამს“...[19].

ასე დაბეჯითებით იმეორებს მხითარ გოში იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ მის დროს სომხეთს უკვე დიდი ხნის წინათ ჰქონდა სახელმწიფოებრიობა მოშლილი. იგი იმის აღნიშნებასაც არ ივიწყებს, რომ ოდესღაც არსებული სომხური სამეფოს ნაცვლად ქვეყნის მხოლოდ ერთ მხარეში (ხაჩენში) თითო-ოროლა თავადიღა იყო შემორჩენილი და ამის მიუხედავად ხაზს უსვამს ქვეყნის პოლიტიკურ უუფლებობას, ე.ი. ოდესღაც არსებული დამოუკიდებელი მეფეების-ხელმწიფეების ნაცვლად ამჟამად მხოლოდ ორიოდე დამოკიდებული თავადიღა შემორჩა ქვეყანასო. რომ

---

18 იქვე, გვ.33

ნამდვილად დამოკიდებული და არა ხელმწიფეები იყვნენ ეს ხაჩენკის თავადები, ამას მთელი ჩვენი წყარო ადასტურებს იმით, რომ არცერთ ხაჩენკის თავადს უფლება არ ჰქონია მხითარ გოშის სამართლის სანქციონირებისა, ე.ი. მისი ოფიციალურად მოქმედი სამართლად გამოცხადებისა. ასე რომ, ისტორიულ სომხეთში გოშს არავითარი საერო ხელისუფალი-მეფის, ხელმწიფის სახით არ ეგულებოდა. ასეთ ხელმწიფედ მას მხოლოდ შორეული კილიკიის დიდი თავადი რუბენი მიაჩნია. ეს არის და ეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ მხითარ გოშს აქ რაიმე გამორჩენოდა. თუკი მან საგანგებოდ აღნიშნა ხაჩენკის ორიოდე თავადის, ე.ი. არა ხელმწიფეთა არსებობა და თვით შორეულ კილიკიაში დიდი თავადის რუბენის ხელმწიფობა, საკითხავია, რა მიზეზით არ აღნიშნავდა იგი ისტორიულ სომხეთში ხელმწიფის არსებობას, თუკი ასეთი ნამდვილად იქნებოდა? მით უმეტეს, რომ, ზემოდამოწმებული კირაკოს განძაკელის ცნობით, ზაქარია და ივანე მხარგრძელები "იმ მხარეთა მფლობელები იყვნენ", სადაც გოშმა მონასტერი ააშენა. გოში ხომ ძალიან კარგად იცნობდა ძმებ მხარგრძელებს და დიდად დაახლოებული იყო მათთან და ნუთუ დასაჯერებელია, რომ თუკი მხარგრძელებს მართლა სომხეთის ხელმწიფობა ეპყრათ ხელთ, ამას მათი უახლოესი პიროვნება, სულიერი მამა, თვითონ მხითარ გოში არ აღნიშნავდა?! ცხადია, ამგვარი რამ გამორიცხულია. არათუ ხელმწიფობა, თუნდაც რაიმეთი გამორჩეული, საკუთრივ სომხური სახელმწიფო ნიშნის მატარებელი ნებისმიერი წოდება რომ ჰქონოდათ მხარგრძელებს, უეჭველია მხითარ გოში იმას აუცილებლად აღნიშნავდა და აღარ დაწერდა: „ამჟამად ჩვენ არც მეფე გვყავს, არც მთავარი". თავისთავად ცხადია,

მხარგრძელები ე.წ. „ზახარიდებისა" თუ „ზახარიანების" დინასტიის დამაარსებლად რომ მიეჩნია მხითარ გოშს, იგი აღარც იმას დაწერდა, ჩემი სამართლის მუხლებს საცინლად აიგდებენ მკითხველები, რადგან სომხური სამეფო დიდი ხანია აღარა გვაქვს, მის აღდგენას ჩვენ ცერ მოვესწრებითო და სხვა.

ამრიგად, მხითარ გოშის სამართლის წიგნის თანახმად, სომხეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მას-სომხეთს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში არავითარი პოლიტიკური ავტონომიის მსგავსი რამ არ გააჩნია. ასე რომ: სომხეთი საქართველოს სამეფოს ისეთივე პოლიტიკური ნაწილია, როგორც ნებისმიერი საკუთრივ ქართული მხარე, ქართლი, კახეთი, მესხეთი, სამეგრელო, სვანეთი და ყველა სხვა.

ახლა განვიხილოთ, როგორი იყო საქართველოსა და სომხეთის სოციალური ურთიერთობა ჩვენი წყაროს მიხედვით.

ამისათვის ჯერ ვნახოთ, როგორია სომხეთის სოციალური წყობილება მხითარ გოშის სამართლის წიგნის მიხედვით.

ადრეფეოდალური სომხეთის საზოგადოებრივი აღწაგობა საბოლოოდ მოიშალა XI საუკუნეში ქვეყნად სელჯუკთა ბატონობის შედეგად[20]. ასე რომ, უცხოელმა დამპყრობლებმა მოსპეს სომხეთი როგორც პოლიტიკურად, ასევე სოციალურად. სომხეთში მიწისმფლობელობის აღმოსავლური იკტადარული სისტემა გაბატონდა, რაც გამორიცხავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და, ამდენად, სომხეთის პროგრესს საერთოდ. იკტადარული სისტემა სამუდამოდ დამკვიდრდა სომხეთის იმ კუთხეებში, რომლებშიც მტკიცედ დამკვიდრდნენ სელჯუკები. მაგრამ სულ სხვა სოციალური აღწაგობა განვითარდა სომხეთის იმ მხარეებში, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა XII საუკუნიდან. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ერთგანაც და მეორეგანაც სომხეთის სოციალურმა სტრუქტურამ იმ სახელმწიფოთა სოციალური სტრუქტურის სახე მიიღო, ვის ხელშიც სომხეთის ესა თუ ის მხარე აღმოჩნდა, ე.ი. პირველ შემთხვევაში, სომხეთის ერთ ნაწილში სელჯუკთა გავლენით რეგრესული საზოგადოებრივი აღნაგობა ჩამოყალიბდა, მეორეში- საქართველოს გავლენით -პროგრესული საზოგადოებრივი აღწაგობა. ამ უკანასკნელის ცნებაზე მჭერმეტყველ დადასტურებას სწორედ მხითარ გოშის

---

20 იქვე, გვ.IX.

სამართლის წიგნში ცპოულობთ. იქ დამოწმებული სოციალური ტერმინებიიშხანი, აზატი, ზონეორი, შინაკანი ზედმიწევნით ზუსტად შეესაბამება თანადროულ ქართულ სოციალურ ტერმინებს, როგორიცაა დიდებული, აზნაური, მსახური, ყმაგლეხი. ყოველივე ეს კი იმის სრულიად უეჭველი დასტურია, რომ იმ ერთი საუკუნის განმავლობაში, რაც სომხეთი (მისი დიდი ნაწილი) საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა (მხითარ გოშის სამართლის შედგენის დროისათვის), ეს ქვეყანა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სოციალურადაც საქართველოს ორგანული ნაწილი გამხდარა ანუ სომხეთში ქართული საზოგადოებრივი წესწყობილება, ფეოდალიზმის ქართული ტიპი დამყარებულა. ეს გარემოება კი სრულებით გამორიცხავს სომხეთში საკუთრივ სოციალ-პოლიტიკური ნებისმიერი ინსტიტუტის დამოუკიდებელ არსებობას, ანუ ყოველი სოციალური და პოლიტიკური დაწესებულება ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ სომხურ მოსახლეობაში წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურსა და პოლიტიკურ დაწესებულებას, ისევე, როგორც ეს იყო წარმოდგენილი სახელმწიფოს ნებისმიერ საკუთრივ ქართულ მხარეში.

გადავიდეთ უშუალოდ ჩვენი წყაროს ცნობების განხილვაზე.

საერო სამართლის მ.3. „შემოქმედმა ადამიანის არსება შექმნა თავისუფლად, - პატრონებზე დამოკიდებულება კი მიწისა და წყლის საჭიროებამ წარმოშვა. მე სამართლიანად მიმაჩნია ასეთი დადგენილება, რომ ადამიანი, რომელიც დატოვებს პატრონის მიწა-წყალს, უფლებამოსილია იცხოროს იქ, სადაც მოესურვება. მაგრამ თუ პატრონმაგან ვინმე ამას არ იპატიებს და აყრილს ძალით დააბრუნებს, მაშინ მამის სიკვდილის შემდეგ თავისუფალნი არიან ის შვილები, რომლებიც სხვაგან და არა ამ პატრონის ხელში დაიბადნენ"[21]

პირველი და მთავარი, რაც ამ მუხლიდან ირკვევა, ისაა, რომ გლეხი არის ყმა, პატრონის მიწაზე მიმაგრებული მწარმოებელი და

---

21 იქვე, გვ.150.

გოში ცდილობს ყმაგლეხის პატრონისაგან წასვლის დაკანონებას, მაგრამ მან კარგად იცის, რომ მის ! სამართალს ! სავალდებულო ძალა არა აქვს და ამიტომ წერს, თუ რომელიმე პატრონი ამის უფლებას არ მისცემს ყმაგლეხსო და ა.შ. საკითხავია, ნეტა რომელი პატრონი ეგულებოდა გოშს ისეთი, რომ ყმაგლეხის ასეთი თავისუფლებას დაპატიებდა?! ყმაგლეხს რომ პატრონისაგან წასვლის ასეთი ხელაღებით უფლება ჰქონოდა, მაშინ ხომ საერთოდ მოიშლებოდა პატრონყმობა.

მეორე მხრივ გოშის მიერ თუნდაც ამგვარი, არარეალური სახით ყმაგლეხის პატრონისაგან წასვლის უფლების დადგენა, უთუოდ იმდროინდელი რეალური ვითარების ამსახველია. საქართველოს ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოში თამარის ეპოქაში უკვე დაწყებული იყო გლეხთა ყმობიდან თავდახსნის პროცესი („გააზნაურდეს ქვეყნის მოქმედნი“ „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, თავისუფალ მონები“, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 98-ე მუხლი, უფრო გვიანდელი -XIV ს-ს წყარო, სადაც ყმაგლეხთა გარკვეული ნაწილის ყმობიდან თავდახსნის უფლება უკვე სამართლით არის დადგენილი) და, როგორც ვხედავთ, სომხეთშიც, ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილში, იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე. ასე რომ, გოშის მიერ დამოწმებულ მე-3 მუხლში გლეხთა ყმობიდან თავდახსნაზე მითითება იმის დასტური კი არ არის, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია[22], თითქოს სომხეთში მხოლოდ ახლა იწყება გლეხთა დაყმევებაო, პირიქით, ჩვენი წყაროდან კარგად ჩანს, რომ სომხეთში ძველთაგან (XII ს-ს I ნახევარი) საქართველოს გავლენით დაყმევებული გლეხები იმავე საქართველოს გავლენით XIII საუკუნის დასაწყისში უკვე ყმობიდან თავდახსნისათვის იბრძვიან.

გლეხთა ადრინდელი ყმობის დადასტურებაა იმავე საერო სამართლის წიგნის პირველი მუხლის დებულება: „მხარეებიდან და ხალხებისგან მეფემ და დიდებულებმა გამოსალები უნდა აიღონ სამართლიანად და არა უმეტეს, ვიდრე აიღებდა წინაპართა ჩვეულების მიხედვით“[23]

---

22 Судебник Смбата спарапета (гундстабля) 1265 г. пер. А.Г.Сукиасяна, Ереван, 1971, с.25.

23 დასახ. გ-მა, გვ.147.

სომხური ჩვეულებითი სამართალი მხითარ გოშის სამართლის წიგნის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა და ამ შემთხვევაში მასზე მითითება იმის ნიშანია, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი სომხეთის სოციალური წყობილება, არსებითად, ადრეფეოდალური, სელჯუკთა შემოსევებამდელი, სომხეთის სოციალური წყობილების აღდგენა-გაგრძელებაა, მაგრამ უკვე ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში, ქართული სოციალური წყობილების სახით.

საერთოდ, ჩვენს წყაროში დამოწმებული ფეოდალური სოციალური ინსტიტუტები, რომელთა უფლება-მოვალეობის წერილობით დასადგენად არის შემუშავებული გოშის სამართლის წიგნი, თავისთავად მეტყველებენ პატრონყმობა-ბატონყმობის სიძველეზე, უფრო სწორად ძველად არსებულის, ხელახლა, მაგრამ კარგა ხნის წინათ აღორძინებაზე და არა მხოლოდ ახლად ჩასახვაზე.

იგივე პირველი მუხლიდან კარგად ჩანს მემკვიდრეობითი-სამამულო სისტემის, როგორც ფეოდალურ მფლობელობის ძირითადი სისტემის არსებობა სომხეთში:

„უკეთუ დიდებული მეფის ნაბოძებ თემში, მეფის ნებართვით ააგებს ციხეს ანდა დაბას, ან აღადგენს დანგრეულს ამავე თემში, მაშინ ყველაფერი ეს ამ დიდებულის სამემკვიდრეო მფლობელობა გახდება... დიდებულთა სიკვდილის შემდეგ ეს სამფლობელოები მათ შვილებს დარჩებათ მეფის თანხმობით. იგივე წესი გავრცელდეს აზატებზე დიდებულების მიმართ, რომელთა ყმებიც არიან ისინი, და შინაკანებზე, აზატების მიმართ, რომელთა ყმებიც არიან ეს შინაკანები“[24].

სავსებით გარკვევით წერია, მფლობელობა აქ მემკვიდრეობითია, როგორც გაბატონებული საზოგადოების, ასევე მწარმოებელი საზოგადოებისათვის. ეს მემკვიდრეობითობა კი არის სამამულო სისტემის

---

24 იქვე, გვ.148.

საფუძველი და ამიტომ სომხეთის მდგომარეობა ამ მხრივაც საქართველოს მდგომარეობის ანალოგიურია.

პირველი მუხლის სპირის პირის – წოდებათა წევრთათვის წოდებრივი უფლებების ჩამორთმევას ადგენს გოშის საერო სამართლის II4-ე მუხლი. „ღმერთის ხელდასხმულ მეფეებს, ისევე, როგორც ისრაელთ აქეთ წესად, ღმერთიც გააძევებს; ადამიანთა ხელდასხმული – ადამიანთაგანვე განიძევებიან. უკეთუ მეფე უღირსად მეფობს, მაშინ დიდებულნი, რომელთაც იგი გაამეფეს, განაძებენ მეფეს და არა მის ვაჟიშვილებს –უფლისწულებს, რომელთა სხვით შეცვლა უჯეროა, მეფობა დამხობილი მამისაგან მემკვიდრეობით უნდა გადავიდეს ვაჟზე.

დიდებულებს, ხელდასხმულთ მეფის მიერ, მეფეც განაძებს ან დასჯის.

მეფის დასჯა, თუ ეს მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებელია, შესაძლებელია სხვა მეფის, პატრიარქისა და საყოველთაო დასტურის მეოხებით.

უკეთუ დიდებულნი და აზნაურნი მთავრად დაიდგენენ ვისმე, მათვე შეუძლიათ, ერთბამად ამ მთავრის გაძება და დასჯა. მთავარს, მეფის ხელდასხმულს, განაძებს ან დასჯის მეფე.

მთავარს ხელეწიფება დიდებულისა ან აზნაურის გაძება ან დასჯა, უკეთუ იქნება საერო თანხმობა დიდებულთა და აზნაურთა, თუ მთავარი მათი ხელდასხმულია, ხოლო მეფის ნებართვით, თუ დიდებული მეფის ხელდასხმულია.

აზატებს –აზნაურებს არ ხელეწიფებათ ზინდორების –მსახურების დასჯა, მაგრამ ხელეწიფებათ მათი თვისგან დათხოვა. დასჯა მსახურებისა დიდებულთ ხელეწიფებათ. ამავე წესით, არც ზინდორებს – მსახურებს ხელეწიფებათ შინაკანთა –გლეხთა გაძება. გლეხთა გაძება ხელეწიფებათ აზატებს, ხოლო დასჯა – დიდებულებს.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მე სამართლიანად მიმაჩნია

სახელმწიფოსათვის“[25].

ყოველივე დამოწმებულიდან ჩანს, რომ მხითარ გოში ამ მუხლის შემუშავებისას ემყარება ქვეყნის რეალურ ვითარებას. ასევე კარგად ჩანს ისიც, რომ ამგვარი წესი გოშამდე წერილობით დაკანონებული არ ყოფილა სომხური სამართლის სახით და ამის გამო უთუოდ მოკლებული იყო სამართლებრივ სიმტკიცეს, რაც უეჭველად ცალკეულ შემთხვევებში მის განსხვავებულ გაგება-გამოყენებას გამოიწვევდა. მეორე მხრივ, გოში თავისი 114-ე მუხლის შემუშავებისას უთუოდ ქართული სამართლით ისარგებლებდა, რადგან ის, რასაც ახლა წერილობით ადგენდა გოში, ქართული სამართლით დიდი ხნის წინათ იყო დადგენილი. ეტყობა გოშმა გულდასმით შეაჯერა პრაქტიკაში გამოყენებული წესის ყველა ნიუანსი, ქართული სამართლის მიხედვით დაადგინა მისი არსებითი ნიშნები და სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე დებულება შეიმუშავა. სწორედ ამიტომ დაასკვნის იგი: „საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მე სამართლიანად მიმაჩნია სახელმწიფოსათვის“.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც გოში ძირითადად ქართული სახელმწიფოს, საკუთრივ ქართული ფეოდალური ურთიერთობის სინამდვილიდან გამომდის, ვინაიდან გოშის ოცნებაში წარმოსახული სომხური სახელმწიფოს ნიმუში რეალურად არსებული ქართული სახელმწიფო იყო, რომლის უშუალო ნაწილსაც შეადგენდა სომხეთი.

დიდად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ჩვენი წყაროს საერო სამართლის 71-ე მუხლი, რომელიც სიკვდილით დასჯას ეხება. ეს მუხლი იწყება მოსეს სჯულის XXI მუხლის დამოწმებით, სადაც დადგენილია, რომ სიკვდილით დასჯილი დამნაშავე იმავე დღეს უნდა დაიმარხოს. ჩვეულებრივ გოში ფართოდ ეყრდნობა ძველი და ახალი აღთქმის დებულებებს, მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დებულებანი შეცვლილია ქართული სახელმწიფო სამართლის ნორმებით, გოშიც, როგორც ქართული

---

25 იქვე, გვ. 211-212.

სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებული პირი, ასევე ქართული სამართლის ნორმებს ემყარება. ამასთან იგი ცდილობს იმის განმარტებას, თუ რატომ დაჭირდა მას საღმრთო წერილთაგან გადახვეწა. ნათქვამის ერთ-ერთი დამადასტურებელია აღნიშნული 71-ე მუხლი, სადაც მოსეს სჯულის დამოწმებას მოსდევს გოშის შემდეგი მსჯელობა: „თუმცა ყოველი აღთქმა შეიცავს მრავალ საფუძველს, როგორც არა მარტო სიტყვასიტყვით, არამედ აზრობრივი გაგებით, მაგრამ ჩვენ უნდა ვისესხოთ მისგან მხოლოდ იმდენი, რამდენიც აუცილებელია ჩვენთვის სამართლის მუხლებისათვის. მასში (ზემოთ მოყვანილი მოსეს სჯულში) ნათქვამია ისრაელთა სიკვდილით დასჯილი თვისტომთა დამარხვის შესახებ, ჩვენმა მეფეებმა კი არ ინებეს მორწმუნეთა სიკვდილით დასჯა, არამედ (ბრძანეს) მხოლოდ მათი დასჯა (ცოცხლად). მაგრამ, თუ მოხდება, რომ სიკვდილის განაჩენს ურწმუნოს (არაქრისტიანს) გამოუტანს სასამართლო, მაშინ სამართლის საწინააღმდეგო არაფერი იქნება იმაში, რომ ადამიანის ბუნების პატივისცემით გაიცემა ბრძანება ასეთი სიკვდილით დასჯილის დამარხვისა იმავე დღეს“[26].

ბრწყინვალე ლიტერატორი გოში აქ ოსტატურად აყალიბებს თავის აზრს, იგი ერთგვარად ებოდიშება მოსეს იმის გამო, რომ იძულებულია გადაუხვიოს მის კანონს, მაგრამ ამ გადახვევის მიზეზის დასახელებამდე გოში ფილოსოფიური მსჯელობით ამზადებს მკითხველს და მხოლოდ შემდეგ აცხადებს: „ჩვენმა მეფეებმა კი არ ინებეს მორწმუნეთა სიკვდილით დასჯაო“, ე.ი. მოსეს სჯული ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეცვალესო და, როგორც ამ მუხლის დასაწყისში მოსეს მიმართ ბოდიშობს გოში, ასევე მორიდებით აღნიშნავს ამავე მუხლის ბოლოში მოსეს ამ მუხლის შემცვლელ მეფეთა მიმართ: „სამართლის საწინააღმდეგო არაფერი იქნება იმაში“, რომ „თუ მოხდება“ ურწმუნოს სიკვდილით დასჯა, „გაიცემა ბრძანება“ იგი იმავე დღეს დაიმარხოსო. აი ეს „თუ მოხდება“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ გოშს

---

26 იქვე, გვ. 189.

ძალიან უნდა სიკვდილით დასჯის აკრძალვა არაქრისტიანებზე – მუსულმანებზე არ გავრცელდეს, მაგრამ მას ამის კატეგორიული მოთხოვნის უფლება არა აქვს და ამიტომაც ამგვარი მორიდებული ფორმით გამოთქვამს თავის აზრს. ხოლო გამოთქმა „გაიცემა ბრძანება" პირდაპირ მიგვითითებს, რომ გოშს (და არც სხვა ვინმეს საკუთრივ სომხეთში – სომეხ ხელისუფალს!) ამგვარი ბრძანების უფლება არა აქვს. ასეთი უფლება მხოლოდ საქართველოს მეფეს ჰქონდა. აქ უთუოდ უნდა ითქვას, ისიც, რომ სხვა შემთხვევებში ისეთ დებულებების შემუშავებისას, რომელიც უშუალოდ თანამედროვე ვითარების ძირითად საკითხებს არ ეხება, გოში კატეგორიულია, ხოლო იქ, სადაც საკითხი ეხება უშუალოდ მეფის უფლებამოსილების რეალურ განხორციელებას, აშკარად ჩანს მხითარ გოშის თავშეკავებული მსჯელობა, რის მკაფიო დასტურია განხილული 71-ე მუხლიც.

ახლა ესეც ვიკითხოთ, ვინ არიან ეს „ჩვენი მეფეები", რომელთაც ასე ეკრძალვის გოში ? არა მგონია საეჭვო იყოს, რომ აქ თამარი და მისი ქმარი, ასევე მეფე, დავითი იგულისხმებოდეს. არავითარი სხვა მეფეები გოშის მიერ სამართლის წიგნის შედგენის დროს (1184–1213) საქართველოს სახელმწიფოში შემაველ სომხეთს არ ჰყოლია, თუკრა ისმა უნდა ჩავთვლით, რომ განხილული 71-ე მუხლი სწორედ თამარისა და დავითის სიცოცხლეშია დაწერილი.

მაგრამ თუ მივიჩნევთ, რომ იგივე მუხლი თამარის შემდეგ, ღასაგიორგის დროს დაიწერა, მაშინ გამოდის, რომ თამარის მიერ შემოღებული სიკვდილით დასჯის აკრძალვა ასევე ძალაში დაუტოვებია ღასაგიორგის და, ცხადია, ამის გამო „ჩვენი მეფეები" იქნებიან თამარი და ღასა-გიორგი. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გოში ძველი სომხეთის ყოფილ მეფეებს, ე.ი. საკუთრივ სომეხ მეფეებს ახსენებს, იგი პირდაპირ წერს: „ასეთია წესი დადგენილი ჩვენი ყოფილი მეფეების მიერ"[27].

---

27 იქვე, გვ.148.

ასე რომ, მხითარ გოში მშვენივრად ასხვავებს დამოკიდებული სომხეთის ოდესღაც ყოფილ-საკუთრივ სომეხ მეფეებს და საქართველოს სახელმწიფოში შემავალი სომხეთის აწინდელ-ქართველ მეფეებს.

„ჩვენი მეფეების" გარდა, გოში ხმარობს გამოთქმას „ჩვენი ფული". ასე, თავისი კანონების 21-ე მუხლში იგი წერს: „... ასი სიკლი ჩვენს ფულზე გადმოყვანით"...[26].

რომელი იყო ეს „ჩვენი ფული", ე.ი. სომხების ფული თამარის დროს, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. იმის გამო, რომ სომხეთში არ არსებობდა ხელისუფალი, რომელსაც უფლება ჰქონდა ფულის საკუთარი სახელით მოჭრისა და იმის გამო, რომ პოლიტიკურად და სოციალურად სომხეთის საქართველოს ორგანული ნაწილი იყო, მხითარ გოშის მიერ მითითებული „ჩვენი ფული", ე.ი. სომხების ფული იყო მხოლოდ და მხოლოდ ის ფული, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში იყო მიმოქცევაში, პირველ რიგში თამარის დროის ქართული მონეტა. აქედან კარგად ჩანს, რომ საქართველოზე დამოკიდებულება სომხეთისა XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დამდეგს არა მარტო პოლიტიკური და სოციალური ყოფილა, არამედ ეკონომიკურიც. ეს, ცხადია, ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ აქაც შეიძლება იმის თქმა, რომ აღნიშნული მოვლენა კიდევ ერთი უტყუარი დასტურია იმდროინდელი საქართველოს მაღალგანვითარებულობისა. გოშის „ჩვენი ფული" უეჭველად ადასტურებს იმას, რომ არა მარტო საკუთრივ ქართული მხარეები, არამედ ასევე სომხეთიც საერთო ქართული ეკონომიკური ცხოვრების სფეროში იყო მოქცეული. იმდენად შესისხლხორცებული აქვს მხითარ გოშს ქართული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სინამდვილე, რომ თავისი საოცნებო სომხური სახელმწიფოს სამართლის წიგნში იგი ქართველების წესს იღებს ნიმუშად თვით სომხების მიერ მომავალში (ცხადია,

---

27 იქვე, გვ. 148.

28 იქვე, გვ. 56.

ოცნებაში) დაპყრობილი ქვეყნების გამოსაღების დადგენისას. გოში წერს: „უცნაურია, რომ დიდებულებმა ქრისტიანებს დააკისრონ ისეთი გამოსაღები, როგორსაც ურწმუნოები [მუსულმანები] აკისრებენ [ქრისტიანებს], რადგან ამგვარი გამოსაღები ურწმუნოებს [მუსულმანებს] ეკადრებათ და არა მათ [ქრისტიანებს]. ასე იქცევიან ქართველებიც მათი ქვეშევრდომების მიმართ"[29]. ეს დებულება მაინც და მაინც გარკვევით არ არის ჩამოყალიბებული და ითქმის იძლევა იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ, აქ გოში ქართველებს უსაყვედურებს, ცხადია, პირველ რიგში, მათ მიერ სომხებისათვის უცერო დაკისრების გამო. მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ საკითხს, მაშინ უთუოდ დავრწმუნდებით, რომ ტექსტის ამგვარი გაგება აშკარად მცდარია. საქმე ის არის, რომ გოშის დროს სომხეთი საქართველოს მხოლოდ პოლიტიკურად დაპყრობილი ქვეყანა კი არ ყოფილა, რომელსაც შინაგანი ცხოვრება სოციალურ-ეკონომიკური და თუნდაც პოლიტიკური ავტონომიის სახით საქართველოსაგან განსხვავებული და თავისი, საკუთრივ სომხური გააჩნდა, არა. მხითარ გოშის მთელი სამართლის წიგნი სწორედ იმას ღაღადებს, რომ სომხეთი საქართველოს ორგანული ნაწილი იყო, როგორც პოლიტიკურად, ასევე სოციალურად და, ნაწილობრივ მაინც, ეკონომიკურადაც. ასე რომ, ქართველ დიდებულებს ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკისრებდნენ სომხებს უცერო გამოსაღებს, რადგან სომეხი დიდებული საქართველოს სახელმწიფოსათვის ისეთივე სრულუფლებიანი, ე.ი. ქართველი დიდებული იყო სოციალ-პოლიტიკურად, როგორც ნებისმიერი საკუთრივ ქართველი დიდებული და როგორც ერთ ქართველ დიდებულს არავითარი უფლება არ ჰქონდა მეორე ქართველი დიდებულისათვის, მისი ყმებისათვის, საკუთრივ საქართველოში რაიმე გამოსაღები დაეკისრებინა, ზუსტად ასევე არ ჰქონდა იმავე ქართველ დიდებულს არავითარი უფლება ტომით სომეხი, მაგრამ სოციალ-პოლიტიკურად იგივე ქართველი დიდე-

---

29 იქვე, გვ.148.

ბულისათვის, მისი ყმებისათვის უყურო გამოსაღები დაეკისრებინა სომხეთ-
ში.

ასე რომ, გოშის მიერ აღნიშნული „ასე იქცევიან ქართველებიც მათი ქვეშევრდომების მიმართ", იმას აღნიშნავს, რომ ქართველები იცავენ წესს და უყურო გამოსაღებს არ აკისრებენ მათ სრულ ქვეშევრდომობაში მყოფ სომხებს. ე.ი. გოში აქ ამბობს, როგორც ამჟამად წესის დაცვით, სამართლიანად იქცევიან ქართველები, მათი მიბაძვით, მათ მსგავსად, ასევე სამართლიანად უნდა მოვიქცეთ ჩვენც, სომხები, მომავალში, როცა გველირსება საკუთარი სახელმწიფო და ჩვენც დავიპყრობთ ქრისტიან. ხალხებსო.

ახლა ვნახოთ, როგორია სომხური სოციალური კატეგორიების დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოზე ანუ სოციალ-პოლიტიკურად რა აქვთ საერთო აღნიშნულ ქართულ და სომხურ სოციალურ ინსტიტუტებს.

ამისათვის საჭიროა ჯერ გაირკვეს, როგორია სასულიერო სისტემა ჩვენს წყაროში და რას ემყარება ეს სისტემა, ანუ რა უდევს საფუძვლად მას, ვინ არის ამ სასულიერო სისტემის რეალური შემქმნელი და პრაქტიკულად განმახორციელებელი.

მხითარ გოშის სამართლის წიგნში, ისევე როგორც ძველი ქართული სამართლის წიგნებსა და შუა საუკუნეების ევროპული სამართლის წიგნებში, დადასტურებულია სისხლის დაურვების წესი, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე მკვლელობის, სხეულის დაზიანების და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის დაზარალებულს (მის მემკვიდრეს) ჯარიმის სახით უხდის გარკვეული რაოდენობის თანხას. ამასთან ყოველი სოციალური კატეგორიის სისხლის ფასი ცალკეა განსაზღვრული. ქართულ სინამდვილეში ყველაზე მეტი დიდებულის სისხლი ღირს, (მეფის სისხლი განუსაზღვრელია ანუ მეფე ფასდაუდებელია), ყველაზე ნაკლები-გლეხის. წოდებათა სისხლს განსაზღვრავს მეფე ან ხელმწიფე-მთავარი, ე.ი. მხოლოდ ის პიროვნება, ვისაც უშუალოდ ევორჩიღება აღმასრულებელი დაწესებულება,

რომელიც განსაზღვრული სისხლის გადახდას უზრუნველყოფს. ასეა, ზოგადად, მაგრამ კერძოდ შუა საუკუნეების სამართლის რამდენიმე სახეობა არსებობდა. საქართველოში მოქმედებდა სამართლის ის წიგნები, რომლებშიც:

I. განსაზღვრული იყო სრული (მკვლელობისათვის) და არასრული (სხეულის დაზიანებისათვის, ქურდობისათვის, გაუპატიურებისათვის და სხვა.) სისხლი არსებული საზოგადოების ყველა წოდებისა და ფენისათვის. ასეთებია ბაგრატ III-ის(XI-ს-ის დასაწყისი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რომლის არსებობა რეალურად დადასტურდა), ბექა-აღბუღას (XIII-XIV სს.), ვახტანგ VI ს-ის(XVIII ს-ის დასაწყისი.) სამართლის წიგნები. ესენია ძირითადი სამართლის წიგნები;

2. განსაზღვრული იყო სრული სისხლი მხოლოდ ზოგიერთი სოციალური კატეგორიისათვის და არასრული სისხლი ყველა სოციალური კატეგორიისათვის. ასეთია გიორგი ბრწყინვალის (XIV-ის. I ნახევარი) სამართლის წიგნი;

3. განსაზღვრული იყო მხოლოდ არასრული სისხლი ყველა სოციალური კატეგორიისათვის. ასეთია ბაგრატ III-ის საეკლესიო სამართლის წიგნი;

4. სისხლი საერთოდ არ იყო განსაზღვრული. ასეთია კათალიკოსთა სამართლის წიგნი (XVI ს.).

გიორგი ბრწყინვალის, ბაგრატ III-ისდა კათალიკოსთა სამართლის წიგნები წარმოადგენენ დამოკიდებული სამართლის წიგნებს;

5. სრული სისხლის ფასი, განსაზღვრული ძირითად სამართლებში სავალდებულო იყო მათზე დამოკიდებული სამართლებისათვის, ხოლო არასრული სისხლის ფასი, ასევე განსაზღვრული ძირითად სამართლებში სავალდებულო იყო კათალიკოსთა სამართლისათვის[30].

ახლა ვნახოთ, როგორ არის სისხლი განსაზღვრული მხითარ გოშის

---

30 ზ. რატიანი, უძველეს ქართულ სამართალთა შესახებ, მაცნე, ისტორიის... სერია, №4, 1984, გვ. 171-172.

სამართლის წიგნში. დავიწყებ სირიულ-რომაული კანონების სომხური ვერსიის ცნობების განხილვით: მ. 7. „თუ ცოლი ტყვედ ჩავარდა ქმრის სახლში ყოფნისას, მაშინ მხოლოდ ქმარია ვალდებული გამოისყიდოს ცოლი, მაგრამ თუ მშობლების სახლში ყოფნის დროს ჩავარდა ტყვედ ცოლი, სადაც (მშობლების სახლში) იგი იმყოფებოდა არა ქმრის ნებით, მაშინ იგი უნდა გამოისყიდონ ქმარმა და საკუთარმა მშობლებმა ერთად„[31].

ეს არის დამოკიდებული სამართლის მუხლის დამახასიათებელი ნიშნები, ე.ი. აქ აღნიშნულია, დადგენილი იურიდიული ნორმა, მაგრამ არ არის ზუსტად მითითებული იმ თანხის რაოდენობა, რომლითაც უნდა გამოისყიდონ ტყვედ ჩავარდნილი ცოლი, ერთ შემთხვევაში ქმარმა, მეორეში-ქმარმა და ქალის მშობლებმა ერთად. ამ გამოსასყიდი თანხის რაოდენობა კი ძირითად სამართალშია ზუსტად მითითებული, რომელსაც ეყრდნობა აქ დამოწმებული მე-7 მუხლი.

მ.14. „ ... თუ ქმარი... ცოლს ფეხს ან ხელს მოტეხავს, ან თვალს წამოთხრის, ან კბილს ჩაუმტვრევს, ან დაასახიჩრებს მას... ასეთ შემთხვევაში საზღაური ორმაგი რაოდენობით განისაზღვრება...[32]

მაგრამ რამდენია ეს ორმაგი რაოდენობა ჩვენი წყაროდან არ ჩანს, რადგან აქ არც ერთმაგი საზღაურია დადგენილი და, ცხადია, ამ შემთხვევაშიც, სამართლის ეს წიგნი დამოკიდებულია იმ ძირითად სამართლის წიგნზე, სადაც მე-14 მუხლში აღნიშნული სისხლის საზღაური ზუსტად არის განსაზღვრული.

მ.17. „... დამნაშავე ცოლი პასუხს აგებს სამართლით დადგენილი სისხლით„[34].

---

31 გოშის სამართლის წიგნის დასახ. გ-მა, გვ.46.
32 იქვე, გვ.52.
34 იქვე, გვ.54.

მ.18. „თუ ქმარი მოკლავს ცოლს მრუშობისათვის, მაშინ იგი (ქმარი) სამართლით დადგენილი სრული სისხლით დაისჯება... და თუკი ქმარი ცოლს მოკლავს რაიმე სხვა მიზეზით... მაშინ ქმარს გარდახდეს ორმაგი სისხლი"...[35].

ყველა ეს „სამართლით დადგენილი სისხლი", „სამართლით დადგენილი სრული სისხლი" და „ორმაგი სისხლი" ზუსტად რამდენია, ჩვენს წყაროში განსაზღვრული არსად არ არის და, ცხადია, ამის გამო მხითარ გოშის სამართლის წიგნის სირიულ-რომაული კანონების სომხური ვერსია ეყრდნობა სხვა სამართლის წიგნს, იმას რომელშიც ყველა აქ მითითებული სისხლის რაოდენობა ზუსტად, კონკრეტულად არის განსაზღვრული. ამიტომ ეს კანონები წარმოადგენს დამოკიდებული სამართლის წიგნს. ზემოთ აღვნიშნე, რომ საქართველოში დამოკიდებული სამართლის სხვადასხვა სახე არსებობდა.მხითარ გოშის საეკლესიო სამართლის წიგნი სისხლის განსაზღვრის თვალსაზრისით მაგრატ III-ის საეკლესიო სამართლის წიგნის მსგავსია, რადგან ესეც მხოლოდ არასრულ სისხლს განსაზღვრავს, რაც დასტურდება მისი 93-ე მუხლით: „... ქმარს, რომელმაც ცოლი დააგდო, განკანონება შვიდ წელიწადს და ჯარიმა სამასი დრაქმა-ეკლესიის სასარგებლოდ, თუ ის აზატია- აზნაურია, ხოლო თუ შინაკანია (ყმაგლეხი, ყმახელოსანი, წვრილი ყმაეაჭარი) გაიღახოს ჯოხით და ეკლესიის სასარგებლოდ გარდახდეს ასი დრაქმა"...[36].

ასე ფეოდალიზმის საზოგადოებრივი წოდებრიობის დაცვით აქვს მხითარ გოშს დადგენილი ჯარიმა ერთ შემთხვევაში აზნაურებისათვის სამასი დრაქმა, მეორეში-ყმაგლეხთათვის- ასი დრაქმა. მაგრამ აქ ნახსენები არ არის აზნაურზე მაღლა მდგომი სოციალური წოდება იშხანი-დიდებული და არც აზნაურზე დაბლა მდგომი სოციალური წოდება - ზინვორი-მსახური. ამ შემთხვევაში ზინვორები, შესაძლოა გოშს აზატებთან ჰყავს ნაგულისხმევი, ხოლო თუ სომხეთში, საქართველოს მსგავ-

---

35 იქვე, გვ.54-55.

36 იქვე, გვ.96.

სად, არსებობდნენ ზინვორები შინაკანთაგანაც, მაშინ ცხადია, ეს უკანასკნელნი მას შინაკაჩებთან პყავს ნაგულისხმევი. მაგრამ რატომ არ ახსენა გოშმა ამ მუხლში იშხანები – დიდებულები? ძალზე საეჭვოა, რომ ისინიც აზატებში ეგულისხმა მას. ერთად ერთი, რითაც შეიძლება ეს ფაქტი აიხსნას, ვფიქრობ, ის არის, რომ გოშის დროინდელი იშხანები უშუალოდ ქართული სახელმწიფოს, ქართული ფეოდალიზმის მიერ შექმნილი წოდება იყო სომხეთში (განსხვავებით აზატებისაგან, რომლებიც ძველად არსებულის ალორძინებულ სახეს წარმოადგენდნენ) და, ეტყობა, ამის გამო ამ წოდების წევრნი ანგაროშს არ გაუწევდნენ კერძო პირის შედგენილ სამართალს და გოშმაც მათ გვერდი აუარა, მით უფრო, რომ გოში თავის სამართალს მომავალი, ოდესმე აღდგენილი სომხური სამეფოსათვის ადგენდა, ვინც მისი სამართლის წიგნს წაიკითხავდა, მათ ასე მიმართავდა: „... გთხოვთ და გევედრებით ყველას, მომავალში სხვადასხვა დროის მამებსა და ძმებს, გაასწოროთ შეცდომები, რომლებიც წაკითხვისას (ამ სამართლის წიგნის) შეგხვდებათ არა მცირე, არამედ დიდი რაოდენობით და შეაცნოთ, როგორც ზემოთ მიეუთითე, ნამდვილი უზუსტობანი"[37].

საერთოდ, მომავალისათვის გამიზნულობა და არასავალდებულო ხასიათი, რაც ზოგჯერ პირდაპირ დამრიგებლურ ტონსა და კითხვა-მიგებით ფორმაში გამოიხატება, წითელ ზოლად გასდევს ჩვენს წყაროს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გოშის სამართლის წიგნი საერთოდ არ ყოფილა მოქმედი სამართალი[38]. მაგრამ უეჭველად მართალი არიან ის მკვლევარები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მხითარ გოშის სამართლის წიგნი სასამართლო პრაქტიკის ძალით იქცა მოქმედ სამართლად და გავრცელდა არა მარტო სომხეთში, არამედ კილიკიაშიც და ასევე საქართველოს, პოლონეთისა და ყირიმის სომხურ მოსახლეობაში.

93-ე მუხლში, რომ შემთხვევით არ არის გამორჩენილი იშხანი-

---

37 იქვე, გვ. 29.

38 იქვე, გვ. XXXIII.

დიდებული, ამას ადასტურებს მომდევნო, 94-ე მუხლი , სადაც ასევე მხოლოდ აზატები და შინაკანებია ნახსენები. ამ მუხლის ძალით უნაყოფო ცოლის დაგდებისათვის აზატი ათას ორასი დრაქმით ჯარიმდება, ხოლო შინაკანი - ექვსასი დრაქმით[39].

აღსანიშნავია, რომ წინა, 93-ე მუხლით აზატი სამჯერ მეტი რაოდენობის ჯარიმას იხდის შინაკანთან შედარებით, ხოლო 94-ე მუხლით -მხოლოდ ორჯერ მეტს. ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების სამართლის წიგნებში, მათ შორის საქართველოშიც, სხვადასხვა წოდებებს შორის ერთხელ დადგენილი ჯარიმის სხვაობა უცვლელია, იქნება ის ორმაგი, სამმაგი თუ სხვა შეფარდებით. ამიტომ გოშის მიერ ამ სხვაობის უცვლელობის უგულებელყოფა, ეფიქრობ, იმას უნდა მიეწეროს, რომ წერილობითი სამართლის ტრადიცია, რომელიც კომპოზიციების, ე.ი. დანაშაულისათვის ფულადი ჯარიმის გადახდის პრინციპზეა აგებული, მხითარ გოშისათვის და, მაშასადამე, სომხეთისათვის უცხოა, სრულიად ახალი მოვლენაა და, ამიტომ, ჩვენი სამართლის შემდგენელიც არ იცავს ხსენებულ წესს.

მაგრამ დამოწმებული 93-ე და 94-ე მუხლებიდან მთავარი ის არის, რომ მხითარ გოში ფეოდალური წოდებრიობის პრინციპს განუხრელად იცავს თავისი სამართლის წიგნში და ამით სრულიად უეჭველად გვიდასტურებს მისი თანამედროვე საზოგადოების ფეოდალურ-წოდებრივ აგებულებას.

ამით შეიძლებოდა დამემთავრებინა ჩვენი წყაროს პირველი ნაწილის საეკლესიო სამართლის განხილვა, მაგრამ სრულიად განსაკუთრებული ხასიათის გამო, საჭიროდ მიმაჩნია მის 106-ე მუხლზე მსჯელობა.

მ.106 „თავიანთი კომლებისა და ხალხის (ყმების) გაყოფისას

---

39 იქვე, გვ.97.

აზატები ხშირად მეტისმეტ სიხარბეს ამჟღავნებენ და ცდილობენ ეკლესიის შვილები (ე.ი.ობლები, რომლებიც მონასტრებმა ან ეკლესიებმა შეიკედლეს და აღზარდეს და რომლებიც ეკლესიას ემსახურებოდნენ თავისი ხელობით და მისი ყმები იყვნენ)[40] თავის მოახლეებად მოიტაცონ და იყოლიონ მონობაში, რაც არ ეკადრებათ ქრისტიანებს. იმიტომ, რომ სამგზის ნეტარმა წმინდა გრიგოლმა და ნეტარმა მეფემ თრდატმა წმინდა ეკლესიის მემკვიდრეობა (ქონება) გაუთანაბრეს აზატების სახლების ქონებას და (ამიტომ) მათი (ეკლესიების) მიწაცა და წყალიც თავისუფლად ცნეს. სპარსთა ბატონობის ჟამს, თუმცა კი მათ გამოსაღებს აკისრებდნენ, მაგრამ ეკლესიისა და სასულიერო პირთა ქონება აღნუსხული იყო არქივებში და შინაკანთა ქონებაში არ ყოფილა აღრეული, ისინი მხოლოდ სახელმწიფო გამოსაღებს იხდიდნენ.

ასე რომ, სიხარბით აღძრული, ვინც კი ეკლესიის თავისუფალ შვილებს თავისად დაიჩემებს ყმაგლეხად ან მოახლედ,ასეთი (აზატნი) ულრს იქმნენ ჩვენი ეკლესიის კურთხევისაგან. ვარდაპეტსა და მღდლებს უფლება არააქვთ აკურთხონ შესაწირავი, რომელსაც ამგვარი ხაღხი შეიწირავს.

ზოგიერთი ოზიას სენით ავადდება და ყოველი მათგანი საეკლესიო ქონებას ინაწილებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით, სხვადასხვა სახით და ასე აკმაყოფილებს სურვილს, ამასთან არ აქცევენ ყურადღებას (ანგარიშს არ უწევენ) ვარდაპეტის განაწესს და არაფრად აგდებენ მის უფლებებს. დაე ულრს იქმნენ ჩვენი კურთხევისაგან ისინიც, რომლებიც კადნიერდებიან ამგვარი საქციელით"[41].

აი ეს მუხლი მთავრდება ერთი წინადადებით, რომელიც რუსულად ასეა ნათარგმნი: „Пусть услышат азаты в Грузии, нарушающие столь истинное и древнейшее каноническое поведение".

იგივე წინადადება ღ.მელიქსეთბეგს ქართულად ასე უთარგმნია:

---

40 იქვე, გვ.235, სქ.48.

41 იქვე, გვ.107.

„საქართველოს აზატთ მოისმინონ, რადგანაც ასე სწყვეტს მართალი და უძველესი საკანონო ბრძანება“[42].

რუსული თარგმანით ისე გამოდის, რომ თითქოს ეს მუხლი საქართველოში მყოფ,ე.ი. საკუთრივ ქართველ აზატებს -აზნაურებს მოუწოდებს, ხოლო ქართული თარგმანით აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია საერთოდ საქართველოს აზატებზე -აზნაურებზე,ე.ი. საქართველოს სახელმწიფოში შემავალ ნებისმიერ აზნაურებზე და არა მხოლოდ ეროვნებით ქართველ აზნაურებზე. როგორც ვხედავთ, განსხვავება არსებითია, პრინციპულია. რუსული თარგმანის თანახმად,გამოდის, რომ მთელი 106-ე მუხლის ჩამოყალიბება, მთლიანად სომხურ სინამდვილესა და სომხურ ტრადიციაზე დაყრდნობით, მხითარ გოშს იმისათვის დასჭირდა, რომ ამ მუხლის ბოლოში, დასკვნის სახით, მას ეროვნებით ქართველი აზნაურებისათვის წესრიგის დაცვა მოეწოდებინა. საამისოდ რომ მაშინდელ სომხეთს არავითარი პოლიტიკური ძალა-უფლება არ გააჩნდა,ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილების (607 წ.) შემდეგ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას ასევე არავითარი უფლება არ ჰქონდა დიოფიზიტი ქართველი ქრისტიანებისათვის რაიმე სამართლებრივი ნორმა შეემუშავებინა. მაგრამ კიდეც რომ ვირწმუნოთ ამგვარი რამ, თვითონ 106-ე მუხლი ადასტურებს, ასეთი გაგების უაზრობას იმით, რომ მას აღნიშნულია საქართველოს აზატთა მიერ მონოფიზიტური-სომხური ეკლესიისათვის შესაწირავის მირთმევა და სომეხი-მონოფიზიტი მღვდლებისათვის ღვთისმსახურების შეთხოვა. თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს აზატთაგან, აზნაურთაგან არცერთი დიოფიზიტი ქრისტიანი ამას არ ჩაიდენდა და პირიქით, მონოფიზიტი ქრისტიანები, ბუნებრივია, მონოფიზიტურ ეკლესიას მიართმევდნენ შესაწირავს და მის მღვდლებს შესთხოვდნენ ღვთისმსახურების. ასე რომ,რა კუთხითაც უნდა შევხედოთ 106-ე მუხლში

---

42 ღ.მელიქსეთბეგი, დასახ.ნაშრ.გვ.236.

ნახსენებ „საქართველოს აზატთ", პოლიტიკურით თუ კონფესიურით, ეს აზატნი პირველ რიგში არიან მონოფიზიტი სომხები და, ცხადია, ასევე ეროვნებით არა სომხებიც, მაგრამ აუცილებლად მონოფიზიტი ქრისტიანები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს ქვეშევრდომები იყვნენ და ძირითადად ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ. ამდენად, სავსებით სწორია ღ.მელიქსეთბეგის თარგმანი „საქართველოს აზატთ მოისმინონ", სადაც ეროვნებით სომეხი (და არა სომეხი მონოფიზიტები) ასე იწოდებიან იმის გამო, რომ მათ, ამ აზატებს,თავისი სოციალური სტატუსი საქართველოს მეფისაგან, გოშის დროს, უშუალოდ თამარ მეფისაგან ჰქონდათ მინიჭებული-დამტკიცებული. ასეა, რადგან ფეოდალური წოდებების მინიჭება და ადრიდანვე მინიჭებულის დამტკიცება მხოლოდ და მხოლოდ საერო ხელისუფლებას- მეფის, ხელმწიფის სახით ხელეწიფებოდა. ასეთი საერო ხელისუფალი კი სომხებს, მხითარ გოშის დროისათვის, ისტორიულ სომხეთში საუკუნენახევარი იყო გასული, რაც საკუთრივ სომეხი აღარავინ ჰყოლიათ, სომხეთში საერო ხელისუფლების სჯულკაცთაგან მოსპობის გამო.

ამრიგად,უკვე I06-ე მუხლით დამტკიცდა, რომ სომხეთი XII-XIII საუკუნეებში სოციალურად საქართველოს ისეთივე ორგანული ნაწილი იყო, როგორც პოლიტიკურად, რაც ზემოთ გაირკვა.

გოშის კანონთა I06-ე მუხლის საფუძველზე მიღებული დასკვნა რომ უეჭველია, ამას ზედმიწევნით ადასტურებს ჩვენი წყაროს საერო სამართლის წიგნის მრავალი ცნობა.

მ.I. „ჩვენ პირველად საეკლესიო სამართლის დებულება გადმოვეცით და დავადგინეთ იქ მოსამართლეთა კომპეტენცია და შემოსავალი, იმის გამო, რომ საეკლესიო სასამართლო უპირველესი და უმნიშვნელოვანესია.

ამის შემდეგ დავადგენთ მეფის, დიდებულთა და ყველა საერო პირის სამართალს. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ მეფედ უფლებამოსი-

ღებაში ჯერ არს ვსცნოთ მხოლოდ ღმერთი, ადამიანები კი მეფეებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ სახელდებით და არა ჭეშმარიტად. მეფეებად იწოდებიან ისინი, რომლებიც მთლიანად (სრულფასებიანად) ხელმწიფობენ თავიანთ ხაღხებზე (ასეა! ხაღხებზე და არა ხაღხზე. ზ.რ.) და გამოსაღებს იღებენ სხვა ხაღხებისაგან (!), ანდა,თუკი არ იღებენ, მაშინ (უკიდურეს შემთხვევაში) თვითონ არ აძღევენ გამოსაღებს სხვა მეფეებს"[43].

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, არათუ აქ განმარტებული მეფეთა კატეგორიები, არამედ თუნდაც ისეთი მეფეც კი, რომელიც გამოსაღებს აძღევდა სხვა მეფეებს, მხითარ გოშის დროინდელ სომხეთში უკვე საეკუნენახევარი იყო გასული, რაც აღარ არსებობდა. თუმცა აქ ისიც აღსანიშნავია, რომ უცხო მეფის მიერ გამოსაღებ დაკისრებული მეფე კიდეც რომ არსებულიყო სომხეთში, მას მხითარ გოში,აქ მოტანილი მისივე განმარტების თანახმად მეფეს არც უწოდებდა. ასე რომ მეფე, მხითარ გოშს ესმის, როგორც ხელმწიფე,ე.ი. ქვეყნის სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი მმართველი. მის მიერ მეფის ცნების ასეთი გაგებისა და სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინების ფონზე ერთი შეხედვით უცნაურად ჩანს ამ მუხლში მეფის მემკვიდრეობით წესსა და უფლება-მოვალეობაზე მხითარ გოშის მსჯელობა. მაგრამ, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველივე ეს დიდ მოღვაწეს შორეული მომავლისათვის აქვს გამიზნული, იმ დროისათვის,როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დაცემული სომხეთის სახელმწიფო აღორძინდება, მაშინ ამ პირველი მუხლის ჭეშმარიტი დანიშნულებაც გასაგები გახდება. ამავე მუხლში გოში განმარტავს მეფის უფლება-მოვალეობას, მემკვიდრეობის, საზღვრების, ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა, ხიდების მშენებლობის, ფულის მოჭრის და სხვათა შესახებ და სიტყვას არ ძრავს სამართალზე,თუმცა სხვაგან გარკვევით აღნიშნავს, რომ საერო სამართალი მეფეს ეკუთვნის ანუ საერო სამართლის გაჩენა-შემუშავება მეფის უფლებამოსილებაში შედის, ასე,პირველი მუხლის სათაური:„დასაწყისი საერო სამართლის მეფეთა,

---

43 გოშის სამართლის წიგნის დასახ. გ-მა, გვ.141.

დიდებულთა და ყველა (სხვათა) მოსამართლეთა", თავისთავად გულისხმობს, რომ საერო სამართალი მეფის დადგენილი უნდა იყოს. მაგრამ გოში ხომ თვითონ გვევლინება საერთო სამართლის შემოქმედად. ჩანს, ამიტომ მას ზედმეტად მიუჩნევია მეფეთა უფლება-მოვალეობის ჩამოთვლისას უშუალოდ სამართლის შედგენაზე მითითება. მაგრამ გოშის საერო სამართლიდან ისიც გარკვევით ჩანს, რომ კერძო პირს, გოშს უფლება არ ჰქონდა წოდებათა სრული სისხლის განსაზღვრისა, ე.ი. ძირითადი სამართლის შედგენისა და ამიტომ იგი არც განსაზღვრავს წოდებათა სრულ სისხლს. და მაინც საერო სამართალი, თუნდაც მომავალი, საოცნებო სამეფოსათვის შედგენილი, წოდებათა სრული სისხლის განუსაზღვრელად რომ მხოლოდ ფიქცია იქნებოდა, ესეც კარგად ესმოდა მხითარ გოშს. ამიტომ იგი მეტად თავისებურ გამოსავალს პოულობს, აღგენს გაურკვეველი სოციალური კატეგორიის სისხლს და იქვე განმარტავს, ეს სისხლი წოდებათა მიხედვით გაიზარდოსო. „უკეთუ ურწმუნო ქრისტიანს მოკლავს, ურწმუნო მოიკლას, მაგრამ თუ წინასწარ განზრახვით არ მოუკლავს, მაშინ ურწმუნოს ხელი მოეკვეთოს და მოკლულის სისხლის ფასი გარდახდეს". „სისხლის ფასი ადამიანის ღირსების შესაბამისი, არ არსებობს, ვინაიდან ადამიანი ღმერთის შექმნილია და მისი სახეა. მკვდრების აღდგომა მხოლოდ ღმერთს ხელეწიფება. დაე ნურავინ ჩათვლის ღირსეულად (ჭეშმარიტად) იოსების ფასს – ოც ვერცხლს და ქრისტეს ფასს– ოცდაათ ვერცხლს, რადგან მათი გამყიდველები თვითონ ქურდები იყვნენ. მაგრამ, რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, ვფიქრობ, რომ ეს ფასი უნდა იყოს სამას სამოცდახუთი დრაჰკანი, ერთი ოქროს დრაჰკანი ცამეტ ვერცხლის დრაქმად უნდა ჩაითვალოს, დროის კურსის თანახმად. ეს ფასი ორი მოსაზრებით განისაზღვრება: (პირველად იმიტომ, რომ მოკლული) გონიერი არსებაა და (მეორედ იმიტომ, რომ) ქრისტიანული სარწმუნოების აღმასრულებელია და (ფასი) უნდა გაიზარდოს მოკლულის წოდების შესაბამისად. ურწმუნოს სისხლის ფასი, ვითარცა უგუნური არსებისა და არა ქრისტიანისა, განისაზღვროს

ერთი მესამედით"[44].

როგორც ვხედავთ, მხითარ გოშის აზრით, ადამიანის სისხლის ფასი უნდა განისაზღვროს სამას სამოცდახუთი ოქროს დრაჰკანით, მაგრამ ვინ არის ეს ადამიანი სოციალური გაგებით,ამის შესახებ გოში არაფერს ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ მან მშვენივრად იცის, ასეთი განყენებული,სოციალური შინაარსისაგან დაცლილი ადამიანი,არ არსებობს, ამას ადასტურებს ჩვენს წყაროში მრავლად ნახსენები სოციალური ტერმინები-იშხანი, აზატი, ზინვორი, შინაკანი და თვით აქ დამოწმებული მუხლის ფრაზა, რომ სისხლის „ფასი უნდა გაიზარდოს მოკლულის წოდების შესაბამისად". ყურ ერთი, გოში არ განსაზღვრავს, თუ რომელი წოდებისათვის რა შესაბამისობით უნდა გაიზარდოს ეს სისხლის ფასი და სწორედ აქედან ჩანს, რომ მას უფლება არა აქვს, ხოლო,რაც მთავარია, როგორც ვთქვით, არც იმ პირის სოციალური რაობა აქვს მას დასახელებული, ვისი სისხლიც სამას სამოცდახუთი დრაჰკანით განსაზღვრა. თუ დავიშვებთ, რომ სამას სამოცდახუთი დრაჰკანით გოშმა თავისუფალი ადამიანის სისხლი განსაზღვრა, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს, მაშინ აშკარად დამტკიცდება, რომ გოში ამით საერთოდ არავის სისხლს არ განსაზღვრავს, ვინაიდან გოშის დროინდელ სომხეთში თავისუფალი ადამიანი,ე.ი.ისეთი, რომელიც ყმობისაგან სრულიად თავისუფალი იყო, არ არსებობდა, რასაც ზემოწევნით ადასტურებს მთელი მისი სამართლის წიგნი. მართალია, როგორც ყოველთვის, გოშის დროსაც სომხეთში და სხვაგანაც, კერძოდ, საკუთრივ საქართველოში იყვნენ გლახაკნი ანუ „მიწყით მთხოველნი", რომლებიც პატრონყმური ურთიერთობიდან იყვნენ ამოვარდნილი, არავის ყმები აღარ იყვნენ და ამიტომ თავისუფლებად ითვლებოდნენ,მაგრამ ასეთი თავისუფლების სისხლი არცერთ შუა საუკუნეების სამართალში განსაზღვრული არ არის იმის გამო, რომ ისინი კანონგარეშე იყვნენ, მათ მოქალაქეობრივი უფლება საერთოდ არ ჰქონიათ. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ გოშს ასეთი გლახაკები არ ჰყოლია მხედველობაში, როცა ადამიანის

---

44 იქვე, გვ.145.

სისხლი. სამას სამოცდახუთი დრაჰკანით განსაზღვრა. ამიტომ აშკარა ხდება, რომ რადგან გოში თავისი სამართლის წიგნს უპირატესად სამომავლოდ ადგენდა, ამ შემთხვევაშიც, მომავალი, საცნებო სომხეთის იმ ადამიანის სისხლი განსაზღვრა, რომელიც საზოგადოების უმდაბლეს საფეხურზე იდგებოდა და მწარმოებელი იქნებოდა. რომ ნამდვილად ასეთ ადამიანს გულისხმობს გოში, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი წერს; სისხლის „ფასი უნდა გაიზარდოს მოკლულის წოდების შესაბამისად", ე.ი. გაიზარდოს და არა შემცირდეს, რაც გარკვეით მიგვითითებს, იმას, რომ ვისი სისხლიც განისაზღვრა, ის ყველაზე დაბლა დგას, მასზე დაბლა მდგომი წოდება არ არსებობს, რის გამოც სისხლის ფასი უნდა გაიზარდოს წოდების შესაბამისად და არა შემცირდეს. მაინც რატომ არ დაწერა გარკვეით ამ შემთხვევაში შინაკანი- მის დროს არსებული ყველაზე დაბლა მდგომი წოდება? უთუოდ იმიტომ, რომ გოშს უფლება არ ჰქონდა არცერთი წოდების სრული სისხლის განსაზღვრისა და რადგან ყველა წოდების სისხლი უკვე განსაზღვრული იყო საქართველოს მეფის მიერ, გოშს რომ წოდების სახელდებით განესაზღვრა სისხლი, ეს აშკარად არსებული სამართლის ხელყოფა იქნებოდა, რასაც ხელისუფლება არავის აპატიებდა. ამიტომ გოშმა მახვილგონივრული გამოსავალი იპოვა, სისხლის განსაზღვრისას საერთოდ არ ახსენა წოდება, თუმცა აშკარაა, რომ ამგვარად მან მომავალი სომხეთის სახელმწიფოს მწარმოებელი წოდების სისხლი განსაზღვრა.

ცხადია, რომ გოშის მიერ ამ ერთადერთ შემთხვევაში განსაზღვრული სრული სისხლი სრულებით არ ცვლის მისი სამართლის წიგნის ძირითადი სამართლის წიგნზე დამოკიდებულებას, იმის გამო, რომ შინაკანთა-მწარმოებელ ყმათა, ზინვორთა-მსახურთა, აზატთა-აზნაურთა და დიდებულთა-აზნახანთა სრული სისხლი გოშს განსაზღვრული მაინც არა აქვს და, ამიტომ, ყველა ამ სოციალურ კატეგორიათა სისხლის განსაზღვრისას გოშის სამართლის წიგნი ეყრდნობა იმ ძირითადი სამართლის წიგნს, სადაც ზუსტად არის მათი სრული სისხლი განსაზღვრული. ამის შესახებ გოში თვითონ მიუთითებს შემდეგი ფრაზით: (სისხლის) „ფასი უნდა

გაიზარდოს მოკლეულის წოდების შესაბამისად". აი ეს წოდებებია სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური კატეგორიები.

ამრიგად, მხოლოდ შორეულ მომავალში სავარაუდო მწარმოებელი ადამიანის სისხლის განსაზღვრით მხითარ გოშმა ერთხელ კიდევ საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ მის დროინდელ სომხეთში არ არსებობდა საკუთრივ სომეხი საერო ხელისუფალი მეფის, ხელმწიფის სახით, რომელსაც წოდებათა სრული სისხლის განსაზღვრის უფლება ჰქონდა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ გოშის კანონები ბაგრატ III-ის კანონების მსგავსია სისხლის განსაზღვრის თვალსაზრისით; ახლა უნდა ითქვას, რომ გოშის საერო სამართლის წიგნი, ასევე სისხლის განსაზღვრის გაგებით, არის გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დების" მსგავსი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გოში მხოლოდ ერთი სოციალური კატეგორიის სისხლს ადგენს, ხოლო გიორგი ბრწყინვალე- რამდენიმე კატეგორიისას, ყველა სოციალური კატეგორიის სისხლს არცერთი არ განსაზღვრავს და ამიტომ ორივე დამოკიდებულია ძირითად სამართალში განსაზღვრულ სრულ სისხლზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ გოშის სამართლის წიგნი წოდებათა სრული სისხლის განსაზღვრისას დამოკიდებული იყო ამ ძირითად ქართულ საერო სამართალზე, სადაც ყველა წოდების სრული სისხლი ზუსტად იყო განსაზღვრული. კერძოდ, რომელი იყო ეს ძირითადი ქართული სამართალი, ამის თქმა გადაჭრით ძნელია, რადგან ჩვენამდე ყველა ძველ ქართულ სამართალს არ მოუღწევია, მაგრამ რომ მხოლოდ და მხოლოდ ძირითად ქართულ სამართალს ეყრდნობოდა, გოშის სამართლის წიგნი სრული სისხლის განსაზღვრისას, ეს უეჭველია შემდეგ გარემოებათა გამო: 1. სომხეთში საერთოდ არასოდეს არ ყოფილა ძირითადი წერილობითი საერო სამართალი, სადაც წოდებათა სრული სისხლი იყო განსაზღვრული; 2. კიდევ რომ ყოფილიყო ასეთი სამართლის წიგნი, გოში მას მაინც ვერ დაეყრდნობოდა იმის გამო, რომ გოშის დროინდელი სომხეთის სოციალური წოდებები საქართველოს სახელმწიფოს სოციალური წოდებები იყვნენ და არა სომხეთის სახელმწიფოს სოციალური წოდებები; 3. გოშის სამართლის წიგნი ძირითად ქართულ სამართლის წიგნს რომ არ დაყრდნობოდა წოდებათა სრული სისხლის განსაზღვრისას, მაშინ სრულებით შეუძლებე-

ლი იქნებოდა მისი პრაქტიკაში გამოყენება და, ცხადია, ამის გამო სასამართლო პრაქტიკის ძალით იგი ვიღარ გავრცელდებოდა საქართველოს სახელმწიფოში და, პირველ რიგში, თვით ამ სახელმწიფოს სომხურ ნაწილში (თავისთავად ცხადია, რომ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც გოშის სამართლის წიგნი შემდგომში გავრცელდა, იგი ასევე ეყრდნობოდა იმ ქვეყნების ძირითად სამართლის წიგნებს, სადაც წოდებათა სრული სისხლი იყო განსაზღვრული).

როგორც აღვნიშნე, ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ ძირითად ქართულ სამართლის წიგნს ეყრდნობოდა გოშის სამართლის წიგნი წოდებათა სრული სისხლის განსაზღვრისას, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ჩვენამდე მოუღწეველი ბაგრატ III-ს ძირითადი სამართლის წიგნი. ამას მაფიქრებინებს ბაგრატ III-ის საეკლესიო სამართლის 144-ე მუხლისა და გოშის საერო სამართლის მე-12 მუხლების შედარება.

ბაგრატ III. 144. „თუ კაცსა წუერი მოეკუეცოს ანუ მოეგლიჯოს, ორი გერში ზღას"[45].

გოშის მ.12 „თუ ორი კაცი წაიკიდენ და ერთმა უწვერულმა (უასაკომ) მეორეს -წვერიანს (ასაკოვანს) წვერი დააგლიჯოს, მაშინ დამნაშავეს ორჯერ მეტი თმა დააგლიჯონ და დადგენილი (რაოდენობის) ჯოხი დაჰკრან მაგრად, განსაკუთრებით მაშინ, თუ მან შეურაცხყო საპატიო კაცი. ხოლო, თუ დამნაშავე უფრო ძლიერი და საპატიო იყო, მაშინ მას ერთი ასოს სისხლი გარდახდეს. ეს სასჯელი ეხება მხოლოდ ამ შემთხვევას, ვინაიდან ჩხუბის შესახებ საერთოდ ჩვენ უკვე დავადგინეთ"[46].

თუ გოშის ამ მე-12 მუხლის წყაროდ ბაგრატ III-ის 144-ე მუხლს მივიჩნევთ, რაც საფუძვლიანად დასაშვებია, მაშინ, ვფიქრობ, მეტი უფლება გვაქვს ჩავთვალოთ, რომ გოშის სამართლის წიგნი წოდებათა სრული სისხლის განსაზღვრისას ბაგრატ III-ის ძირითადი სამართლის წიგნს ეყრდნობოდა. თუმცა ამის მტკიცება ხელაღებით შეუძლია, ვინაიდან გამორიცხუ-

---

45 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 468.

46 მხითარ გოშის სამართლის წიგნის დასახ. გ-მა, ერევანი, 1954, გვ. 154.

ღი არ არის, რომ არსებობდა XII საუკუნეში შედგენილი ძირითადი ქართული სამართალი და სწორედ მას ეყრდნობოდა გოშიც.

დამოწმებული მე-12 მუხლის ბოლოში გოშის განმარტება, რომ „საერთოდ ჩხუბის შესახებ ჩვენ უკვე დავადგინეთ", გულისხმობს მისი კანონების 26-ე და საერო სამართლის ასევე 26-ე მუხლებს. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა საერო სამართლის 26-ე მუხლი: „თუ წაეკიდნენ ორნი და ერთი მეორეს ქვას ან მუშტს ჩაარტყამს და ის მეორე არ მოკვდება, მაგრამ ღონინად ჩაბარდება, მაშინ, როცა ადგება და სახლიდან ჯოხზე დაყრდნობით გამოვა, ამ შემთხვევაში დამარცხებული უდანაშაულოდ იცნონ".

„დამრტყმელს განკანონება ისეთი, როგორიც მკვლელს ეკუთვნის.

მაგრამ გადაუხადოს მან მოცდენისათვის (სამუშაოს) და მკურნალობის ხარჯი.

დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში გადაუხადოს (ჭირისუფალს) სისხლის ფასი.

ეს დადგენილება მოტანილია მოსეს სჯულიდან დამატების დართვით და დე იგი სრულად დავიცვათ ჩვენ".[47]

ამ მუხლის ბოლო ფრაზა „დამატების დართვით" უშუალოდ გულისხმობს მის წინა წინადადებას: "დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში გადაუხადოს ჭირისუფალს სისხლის ფასი", მაგრამ რადგან ეს სისხლის ფასი გოშს არსად მითითებული არა აქვს, ცხადია, ამიტომ აქაც ასევე ძირითად სამართალზეა მითითება. მსგავსი მაგალითები ბევრია ჩვენს წყაროში და აქ მხოლოდ რამდენიმეს დავიმოწმებ: „თუ მკვლელი ვერ გამოისყიდის თავის თავს, მაშინ იგი თვითონ გაიყიდოს და თანხა მიეცეს მოკლულის ნათესავებს სისხლის საზღაურად... თუ ქრისტიანმა მოკლა ქრისტიანი, მკვლელს გარდახდეს სისხლის ფასი მოკლულის ნათესავების სასარგებლოდ, ხოლო ჯარიმა-მეფის სასარგებლოდ... თუ მკვლელობა უნებლიეა, გარდახდეს სისხლის ნახევარი ფასი..."[48].

მ.4. „თუ ბავშვმა მოკლა ბავშვი, 'მკვლელს, თუ იგი თორმეტ წელი-

---

47 იქვე, გვ.160.

48 იქვე, გვ.145.

წადზე მეტი ხნისაა, სრული სისხლი გარდახდეს... თუ ამაზე უმცროსია, თერთმეტი ან ათი წლისაა -ნახევარი სისხლი გარდახდეს... ხოლო თუ ათ წელიწადზე ნაკლები ხნისაა - მესამედი სისხლი გარდახდეს"...[49].

ასევეა მე-8 მუხლით, სადაც გარკვეული დანაშაულისათვის სისხლის ნახევარი ფასია დადგენილი; მე-9 მუხლით, სადაც სისხლის სრული ფასია; 26-ე მუხლით, სადაც ასევე სისხლის სრული ფასია განსაზღვრული; 29-ე 31-ე, 37-ე მუხლებით და, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი სისხლზეა მითითება.

ასე რომ, გოშის მთელი სამართლის წიგნი სრული სისხლის განსაზღვრისას ემყარება ძირითადი სამართლის წიგნს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ძირითადი სამართლის წიგნი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამრიგად, ჩვენი წყაროს მიხედვით, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა ასეთია:

I. სომხეთი პოლიტიკურად საქართველოს სახელმწიფოს ორგანული შემადგენელი ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ სომხეთში საკუთრივ სომეხი პოლიტიკური ხელისუფალი -მეფის, მთავრის- ხელმწიფის სახით არ არსებობდა. სომხეთის ერთად-ერთი სრულუფლებიანი ხელმწიფე იყო საქართველოს მეფე, რომელსაც სომხეთში აბსოლუტურად ისეთივე პოლიტიკური უფლებები ჰქონდა, როგორც საკუთრივ საქართველოში.

2. სომხეთი სოციალურად საქართველოს სოციალური წეს-წყობილების ორგანული ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ სომხეთში არსებული უკლებლივ ყველა სოციალური კატეგორია- შინაკანი, ზინვორი, აზატი, იშხანი, ასევე ვაჭარი და სასულიერო წოდებები იყო საქართველოს სახელმწიფოს ისეთივე სოციალური კატეგორია, როგორც საკუთრივ ქართული ყველა სოციალური კატეგორია, იმის გამო, რომ ყველა ამ წოდების უფლება-მოვალეობა სომხეთში, ისევე როგორც საქართველოში, განსაზღვრული იყო ერთი ხელმწიფის- საქართველოს მეფის მიერ და ჩამოყალიბებული იყო საქართველოს ძირითად საერო სამართალში, რომელიც სავალდებულო იყო სრულიად საქართველოს ყველა ქვემევრდომისათვის.

---

49 იქვე, გვ.150.

3. საქართველოზე სომხეთის ამგვარი, სრული პოლიტიკური და სოციალური, დამოკიდებულება არსებობდა XII-XIV საუკუნეების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ XIII საუკუნის პირველი ნახევრის შუახანებიდან XIV საუკუნის დამდეგამდე საქართველოს პოლიტიკური ძლიერება შეირყა, სომხეთის საქართველოზე დამოკიდებულება ამით არ შეშლილა, რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ მხითარ გოშის სამართლის წიგნის მიხედვით დადასტურებული სომხეთის საქართველოზე სრული პოლიტიკური და სოციალური დამოკიდებულება საფუძვლიანი და მყარი ყოფილა.

ზემორე გამოკვლევის შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთი საკითხის განხილვა.

ცნობილია, რომ მხითარ გოშის სამართლის წიგნის საფუძველზე კილიკიაში* შეიქმნა ახალი სამართლის წიგნი. ეს მოხდა 1265 წელს, ე.ი. მხითარ გოშის სამართლის წიგნის შედგენიდან 52 წლის შემდეგ. „სმბატ სპარაპეტის (გუნდსტაბლის) სამართლის წიგნი"[50], ასე ეწოდება

---

* კილიკია მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთი ნაწილის შუაში. ბიზანტიის იმპერიის შემადგენელ მთაგორიან მხარეს სამხრეთით ხმელთაშუა ზღვა ეკრა. ბიზანტიის იმპერატორები კილიკიაში იძულებით ასახლებდნენ მათ მიერ დაპყრობილი სომხეთის მოსახლეობას. განსაკუთრებით ბევრი სომხობა გადაასახლეს ბერძნებმა XI ს-ის შუა ხანებში. შემდგომში XI ს-ის II ნახევრიდან თურქ-სელჯუკების მიერ სომხეთის დაპყრობის გამო თავზარდაცემული სომეხი მოსახლეობა მასობრივად გარბოდა კილიკიაში. ასე რომ, მალე კილიკიაში სომხობა მეტი აღმოჩნდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. სომხები აყვანყდნენ და კილიკია დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადეს 1080 წელს. 1198-1375 წლებში კილიკია განვითარებული ფეოდალური სამეფო იყო. მის დამოუკიდებლობას ბოლო მოუღეს ეგვიპტელებმა-მამლუქებმა, ხოლო სომეხი მოსახლეობა კილიკიის საბოლოოდ გაძევების თურქებმა პირველი მსოფლიო ომის დროს; კილიკიის სახელმწიფომ დიდი როლი შეასრულა სომხური კულტურის განვითარებაში.

50. Судебник Сумбата Спарапета (гундстабля), 1265 г., Ереван, 1971.

კილიკიის ამ სამართალს. სმბატი კილიკიის სამეფოს დიდი მოღვაწე იყო. იგი 1226 წლიდან 1276 წლამდე (ბრძოლაში დაღუპა) სარდლობდა კილიკიის სამეფოს ჯარებს. სმბატი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ მან ძველი სომხურიდან მხოლოდ თარგმნა გოშის სამართლის წიგნი[51], მაგრამ უეჭველ მართალი არიან მკვლევარები, როცა ამტკიცებენ, რომ ეს არ არის მხოლოდ თარგმანი. სმბატის თარგმანს შეიძლება ეწოდოს მხითარ გოშის სამართლის კილიკიური ვერსია, რაც, ცხადია, მას დამოუკიდებელი სამართლის წიგნის სახეს ანიჭებს, მით უმეტეს, როცა დადგენილია, რომ სმბატს თავის თარგმანში ახალი სამართლებრივი ნორმები შეუტანია, რაც არსებითია, და ასევე შეუცვლია სოციალური ტერმინები. ასე დიდებულის-იშხანის ნაცვლად მას უწერია ბარონი, აზატის ნაცვლად– ძიაცორი, შინაკანის ნაცვლად – პარიკოსი, ხოლო ყმა-ვასალის მაგივრად ღიჯ ჯორტი. სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნი 177 მუხლისაგან შედგება და ამითაც განსხვავდება პირველწყაროსაგან.

ამჯერად ჩემი მიზანია გავარკვიო, როგორ არის სისხლი განსაზღვრული სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნში და ამ გზით დავადგინო, ძირითადი თუ დამოკიდებული სამართალია იგი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სმბატს გოშის მიერ შემუშავებული სისხლის განსაზღვრის პრინციპი არ შეუცვლია, ანუ სმბატიც მხოლოდ არასრულ სისხლს განსაზღვრავს, რაც აშკარად ამტკიცებს იმას, რომ სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნი არის არა ძირითადი, არამედ დამოკიდებული სამართლის წიგნი, ამასთან, ისეთივე ტიპისა, როგორიც გოშისა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნებია, რადგან სრული სისხლის განსაზღვრისას სმბატიც ძირითად სამართალს ეყრდნობა და თვითონ მხოლოდ ერთადერთი სოციალური კატეგორიის სრულ სისხლს განსაზღვრავს.

„...თუ უცხო რჯულის კაცი მოკლავს ქრისტიანს, მოიკლას მკვლელი, მაგრამ თუ შემთხვევით მოკლავს, მაშინ ორივე ხელი მოეკვეთოს და გარდახდეს სისხლის ფასი. დადგენილი სისხლის სრული ფასი ქრისტიანისა სამასი დრაჰკანია და ამას გარდა კიდევ (თანხა) მოკლულის მდგომარეობის (სოციალური) მიხედვით“[52].

---

51 იქვე, გვ.5-22.

52 დასახ.ნაშრომი, გვ.51.

როგორც ვხედავთ, ეს გოშის საერო სამართლის წიგნის პირველი მუხლის დებულების განმეორებაა იმ განსხვავებით, რომ გოშის მიერ დადგენილი სამას სამოცდახუთი დრაჰკანი აქ სამასი დრაჰკანით არის შეცვლილი. ამასთან სმბატი განმარტავს, რომ ასე არის დადგენილი, ე.ი. ის თვითონ კი არ ადგენს ამ თანხას, არამედ უკვე დადგენილს იმეორებს. მაგრამ გოშს ხომ სამას სამოცდახუთი დრაჰკანი აქვს დადგენილი და არა სამასი. ცხადია, ასეთი ცვლილება ფულის კურსის შეცვლით იყო გამოწვეული, რაც ჩვეულებრივი ამბავია შუა საუკუნეების სამართლის წიგნებში და რასაც გოშიც აღნიშნავს, თავისი საერო სამართლის პირველ მუხლში, მაგრამ აქ საყურადღებოა სმბატის განმარტება, რომ ეს სამასი დრაჰკანი მას კი არ დაუდგენია, არამედ მანამდე უკვე დადგენილი ყოფილა. აქედან ჩანს, რომ გოშის მიერ დადგენილი სამას სამოცდახუთი დრაჰკანი სმბატს კი არ შეუცვლია სამასი დრაჰკანით, არამედ ეს ცვლილება სმბატზე ადრე სხვას მოუხდენია. ეს სხვა კი მხოლოდ და მხოლოდ კილიკიის მეფე შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან კილიკია XII საუკუნის მიწურულიდან დამოუკიდებელი სამეფო იყო. რადგან სმბატმა კილიკიის სამეფოსათვის შეადგინა დამოკიდებული სამართლის წიგნი, უკვე ეს ფაქტი სრულიად ეჭვმიტანილად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ კილიკიის სახელმწიფოში არსებობდა ძირითადი სამართლის წიგნი, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული წოდებათა სრული სისხლი და სმბატის სამართლის წიგნი სწორედ ამ ძირითად სამართლის წიგნს ეყრდნობოდა. ამას ადასტურებს სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნის ყველა მუხლი, სადაც წოდებათა სრულ სისხლზეა მითითება. როგორც დავრწმუნდით, იქაც კი, სადაც სმბატი ზუსტად ასახელებს ერთადერთი სოციალური კატეგორიის სისხლს, იგი ასევე კილიკიის სამეფოს ძირითად სამართლის წიგნს ეყრდნობა, რადგან განმარტავს, ასეა დადგენილიო.

მაინც რომელი წოდების სისხლს განსაზღვრავს სმბატ სპარაპეტი სამასი დრაჰკანით? თუ გოშის მიერ სამას სამოცდახუთი დრაჰკანით განსაზღვრული წოდება იყო მომაღალი, საოცნებო სომხური სამეფოს უმდაბლე-

სი წოდება-მწარმოებელი, სმბატი კილიკიაში რეალურად არსებული მწარმოებლის სისხლს განსაზღვრავს, რომელსაც იგი პარიკოსს უწოდებს და რომლის ყმური სტატუსი დადგენილი აქვს თავის 118-ე მუხლში.

ახლა ვნახოთ რამდენიმე ნიმუში იმისა, თუ როგორ ეყრდნობა სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნი კილიკიის სამეფოს ძირითადი სამართლის წიგნს.

მ.5. „როცა ორი კაცი ერთმანეთს საჩხუბრად შეეჯახება და (თავისი სოციალური მდგომარეობით ტოლფასნი არიან), მაშინ დამნაშავეს ზომიერი ჯარიმა დაეკისროს, მაგრამ თუ ერთი უფროსი იყო (სოციალურად უფრო მაღლა მდგომ წოდებას ეკუთვნოდა), ხოლო მეორე უმცროსი (სოციალურად), მაშინ იმისათვის, რომ უმცროსმა უფროსის მიმართ კადნიერება გამოიჩინა, მას თმები დააგლიჯონ და გარდახდეს დიდი ჯარიმა"[53].

მ.6. „თუ ვინმე ახდის თავის პურის ორმოს და მაშინვე სხვიგ კაცს ჩაუშვებს და ორმოში ჩასული დაიხუთება გაზით, მაშინ ჩამშვები პასუხს აგებს ჩაშვებულის სისხლზე"[54].

სმბატის 72-ე B მუხლი წარმოადგენს მხითარ გოშის სირიულ-რომაული სამართლის მე-7 მუხლის ვერსიას, რომელიც ასე იწყება:

„თუ ცოლი ქმრის სახლიდან მონად გაიტაცეს, მაშინ მისი (ცოლის) გამოსასყიდი თანხა ქმარმა უნდა გაიღოს, ხოლო თუ მშობლების ან ძმების სახლიდან (გაიტაცეს ცოლი ტყვედ), მაშინ (გამოსასყიდი თანხა) მათ (მშობლებმა და ძმებმა) უნდა გაიღონ"[55].

როგორც ვხედავთ, სმბატის სამართლის წიგნის მე-5, მე-6 და 72-ე B მუხლები, ისევე, როგორც მათი უშუალო წყარო, გოშის სამართლის წიგნი, სახელდებით არ განსაზღვრავენ თანხის რაოდენობას, ვინაიდან ეს თანხა განსაზღვრულია ძირითად სამართალში. ასეთ ძირითად სამართალს კი გოშისათვის, როგორც წინარე გამოკვლევაში დავრწმუნდით, წარმოადგენდა ძველი ქართული ძირითადი

53 იქვე, გვ.57.

54 იქვე, გვ.58.

55 იქვე, გვ.111.

სამართალი, ხოლო სმბატისათვის ასეთი იყო კილიკიის სამეფოს ძირითადი სამართალი.

76-ე მუხლი გარკვეული დანაშაულისათვის აწესებს ხელის მოჭრას, მაგრამ იქვე დასძენს:

„თუ მას (დამნაშავეს) შეუნდობენ (და არ მოჭრიან ხელს), მაშინ მან უნდა გაიღოს გამოსასყიდი თანხა შეფასების შესაბამისად"[56].

აქედანაც გარკვევით ჩანს, რომ გამოსასყიდი თანხა დადგენილია ძირითადი კილიკიური სამართლით, ვინაიდან გამოსასყიდი თანხა იმის მიხედვით დადგინდებოდა („შეფასების შესაბამისად") თუ რომელი სოციალური კატეგორიის წარმომადგენელი იყო ამ თანხის გამღები. ყველა სოციალური კატეგორიის სრული და ასევე არასრული სისხლი კი სწორედ ძირითადი სამართლით იყო ზუსტად განსაზღვრული.

მ.II6: „თუ ვინმე სიდუხჭირის გამო თავის ქალიშვილს ქრისტიანს მიჰყიდის, მას (მსყიდველს) შეუძლია მოეპყრას ნასყიდს ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მონას, მაგრამ მას უფლება არა აქვს მიჰყიდოს იგი (ნასყიდი ქალიშვილი) ურწმუნოს"..[57]
აქაც იგივე სურათი გვაქვს, არ არის ზუსტად დასახელებული ნასყიდის ფასი.

მ.II7: „თუ ვინმე გაარტყამს თავის მონას და მოკლავს მას, მაშინ მან მონის სისხლის ფასი უნდა გადაუხადოს სასამართლოს, ვინაიდან სიკვდილით დასჯა (და არა უსამართლოდ მოკვლა! -ზ.რ.) და გასამართლება ბარონის უფლებამოსილებაა. მაგრამ თუ იგი (მონა) მაშინვე არ მოკვდება და იცოცხლებს რამდენიმე დღეს, მაშინ მკვლელი აღარ გადაიხდის ჯარიმას.."

---

56 იქვე, გვ.I2I.

57 იქვე, გვ.I5I.

ხოლო თუ ვინმე თვალს წამოთხრის თავის ქრისტიან მონას, ან კბილს ჩაუმტვრევს, მაშინ მან უნდა გაათავისუფლოს მონა, რადგან მიიღო მონის სადასური.

მაგრამ თუ ეს მონა მუხულმანი იქნება და პატრონს ეტყვის: „გამყიდე", მაშინ პატრონი, თუ მონა მას მისცემს თავისი სისხლის ფასს, დათანხმდება, უკეთუ მონა ვერ მიუტანს თანხას, მაშინ იგი პატრონის საკუთრებად დარჩება"[58].

როგორც ვხედავთ, სისხლის ფასი აქაც მხოლოდ და მხოლოდ ზოგადად არის ნახსენები ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მიზეზის გამო.

მ.123.„თუ ვინმე თავის ჭას თავლას დატოვებს და მასში ჩავარდება (ადამიანი)... და ამგვარად მოკვდება, მაშინ ის (ვინც ჭა თავლა დატოვა) ვალდებულია გადაუხადოს (ჭირისუფალს) სისხლის ფასი.. მაგრამ თუ ეს დღისით მოხდა, მაშინ ნახევარი სისხლის ფასი უნდა გადაუხადოს, ისევე, თუ კაცი მთვრალი ჩავარდა ჭაში"[59].

მ.126: ... „თუ მოხდება, რომ თამაშობისას ბავშვს ბავშვი შემოაკვდება, მაშინ უნდა გაითვალისწინონ მკვლელის ასაკი, კერძოდ თუ იგი თორმეტ წელზე მეტი ხნისაა, მაშინ უნდა დაისაჯოს როგორც მკვლელი (სრული სისხლი გადაიხადოს), ხოლო თუ თერთმეტი წლისაა, მაშინ ნახევარი სისხლი გარდახდეს და ამისდა გვარად თუ იგი კიდევ უფრო მცირეწლოვანია. შესაბამისად ნაკლები უნდა იყოს ჯარიმაც"[60].

ამ მუხლებიდანაც სავსებით გამოკვეთილად ჩანს სმბატის სამართლის წიგნის დამოკიდებულება კილიკიის ძირითადი სამართლის წიგნზე.

მ.142.„სამართალი ადგენს, გრძანებს (აქედან ასევე ჩანს, რომ სმბატის სამართლის წიგნი ეყრდნობა კილიკიის სამეფოს ძირითა-

---

58 იქვე, გვ.151-152.

59 იქვე, გვ.154.

60 იქვე, გვ.155-156

დი სამართლის წიგნს – ზ.რ.), რომ ადამიანთა მოდგმა მრავალ წოდებად არის დაყოფილი... აზატებად და მხედრებად... და სხვებად...

თუ პატრონი ყმას წოდების შეუსაბამო საქმეზე გაგზავნის და ყმა მოკვდება, პატრონი პასუხს აგებს მისი სიკვდილისათვის".[61]

მ.149. „თუ ვინმე გაგზავნის კაცს (ყმას) სახიფათო ადგილას სამუშაოდ და მას მოკლავენ.. მაშინ გამგზავნი პასუხს აგებს მოკლულის სისხლზე"[62].

მ.154: „სამართალი ბრძანებს, რომ ის, ვინც ახალ სახლს ააშენებს, ვალდებულია სახურავს მოაჯირი შემოავლოს, რათა სახურავიდან ვინმე არ ჩაშოვარდეს და მოკვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (სახლის ამშენებელი) პასუხს აგებს (დალუპულის) სისხლზე და ვალდებულია გადაუხადოს სრული სისხლი"[63].

მაგალითების დამოწმება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხი ისედაც ნათელია.

ასეთი წესით ადგენს სისხლის სამართლის ნორმებს სმბატ სპარაპეტი და არსად თავისი სამართლის წიგნში არ მიუთითებს, ზუსტად რამდენია ეს სისხლის ფასი გარდა ერთი შემთხვევისა! რადგან ყველა ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა კილიკიის სამეფოს ძირითადი სამართლის წიგნს, სადაც ყველა წოდებათა სრული სისხლი ზუსტად იყო განსაზღვრული.

ამრიგად, ვფიქრობ, დამტკიცდა, რომ კილიკიის სამეფოში არსებობდა ძირითადი სამართლის წიგნი, რომელსაც,სამწუხაროდ, ჩანს, ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა,ვინ იცის, იქნებ ოდესმე ისიც აღმოჩნდეს, ისევე, როგორც სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნი აღმოჩნდა ამ ასიოდე წლის წინათ.

---

61 იქვე, გვ.163.

62 იქვე, გვ.165.

63 იქვე, გვ.171.

РАТИАНИ ЗУРАБ ПРОКОФЬЕВИЧ

ПОЛИТИЧЕСКИЕ И СОЦИАЛЬНЫЕ ОТНОШЕНИЯ ГРУЗИИ И АРМЕНИИ ПО СУДЕБНИКУ МХИТАРА ГОША

(на грузинском языке)

Тбилиси
"Мецниереба"
1989

იბეჭდება სსრკ გამსახკომის თავმჯდომარის
№ 1430804/88 ბრძანების საფუძველზე და
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი შ. თ ო ფ უ რ ი ა
მხატვარი ზ. ფ ო რ ჩ ხ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ვ. ღ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა

გადაეცა წარმოებას 7.10.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.07.89; ქაღალდის ზომა 60X90 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირ.საღ.-გატ. 3.25; პირობითი საბეჭდი თაბახი 3.0; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2.2;

უე 07872 ტირაჟი 5000; შეკვეთა № 2672

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство "Мецниереба", Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ.სსრ მეცნ.აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19